ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 17 ივლისი, 2018 | №167 (7712) | ფასი: 60 თეთრი

მამუკა ხაზარაძე: „ანაკლია არ უნდა იყოს მეორე დუბაი“

გვ.6

„საქართველო უნდა გახდეს „კავკასიის შვეიცარია“ და სამეზობლოს ფინანსები მაქსიმალურად მოიზიდოს“

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ოცნების“ დეპუტატები ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ

გვ.4

ბექა ნაცვლიშვილი: „კობახიძე პარლამენტს აკნინებს“

ქალების ჩხუბი პარლამენტში

თინა ბოკუჩავა ეკა ბესელიას: „ენას კბილი დააჭირე, შე მაიმუნო ქალო“

გვ.4

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებას არჩევნები პირველივე ტურში უნდა მოვუგოთ“

გვ.3

გვ.2

„ხელისუფლება ხალხს შრომით გენოციდს უწყობს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ვაიძულოთ „ოცნება“, გაამკაცროს შრომითი უსაფრთხოების ნორმები“

მამუკა არეშიძე: „ევროპულმა საქართველომ“ შეიძლება მარგველაშვილის კანდიდატურა დააყენოს“

გვ.3

გვ.5

„აჭარა იყო, არის და იქნება ორ შტოდ გაყოფილი“

კრემლი ფედერალიზაციის თემას საქართველოშიც ნამოსწევს?



გვ.5

„რუსეთი თავისი მიზნებისთვის იყენებს ცინიკურ ანტილიბერალიზმს“

სამართალი

გვ.7

კოკა კობალაძე: „მინდა, მადლობა გადავუხადო შს მინისტრს, რადგან ჩემს სახლში მომხდარის გამო სამსახურიდან დითხოვა ოთხი პოლიციელი“

გურამ დონაძე სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნას ყალბს უწოდებს

ქუთაისში ავარიას ერთი პოლიციელი ემსხვერპლა, მეორე კი დაშავდა

ეკონომიკა

გვ.6

თხილის ექსპორტი საგრძნობლად შემცირებულია, პარალელურად გაიზარდა კაკალზე მოთხოვნა

საპენსიო სააგენტო სებ-ის ზედამხედველობით იფუნქციონირებს

Georgian Industrial Group GIG გამოთქვამს მზადყოფნას, კომპანია საქნახშირი უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს

ISSN 1987-9385

2 მამუკა ბახტაძე: „ჩვენ გვჭირდება შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები, ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა არაფერი დგას“

5 თბილისში ავტობუსების შესყიდვის სურვილი წინა ტენდერში დისკვალიფიცირებულმა კომპანიამ გამოთქვა

2 მინდელის შახტში აფეთქების შედეგად დაიღუპა 4 და დაშავდა 6 ადამიანი

8 ჰელსინკში ტრამპი და პუტინი შეხვდნენ ერთმანეთს

„ხელისუფლება ხალხს შრომით გენოციდს უწყობს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ვაიძულოთ „ოცნება“, გაამკაცროს შრომითი უსაფრთხოების ნორმები“

შორენა მარსაგიშვილი

ტყიბულში მორიგი ტრაგედია დატრიალდა. მინდელის სახელობის მაღაროში მომხდარ აფეთქებას 4 მაღაროელი შეეწირა. 6 მაღაროელი მძიმედ დაშავდა.

ამ აფეთქებამ ხელისუფლების შეშფოთებაც კი გამოიწვია. მთავრობის და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებდნენ, რომ გამოძიების დასრულებამდე ტყიბულის მაღაროში ყველა უბანი უნდა დაიხუროს. უბნები მართლაც დაილუქა, რაც გარდაცვლილ მაღაროელებს, ბუნებრივია, ვეღარ გააცოცხლებს.

უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ მაღაროების დახურვა არანაირ შედეგს არ გამოიღებს და უსაფრთხოების ნორმები ისევ არ იქნება დაცული. მისი თქმით, ხელისუფლების განცხადებები არის მოჩვენებითი და მათ მუშების ბედი საერთოდ არ აღელვებთ.

ვის შეუძლია სასიკვდილოდ განწირული მუშების გადარჩენა, ვინ მფარველობს ბიზნესმენებს, რომელთა საწარმოები სასაკლაოდ არის ქცეული, რატომ არ მკაცრდება შრომითი უსაფრთხოების ნორმები? – ამ თემებზე ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– დღეს ქვეყანაში სახეზე გვაქვს მკვლელოკრატია. დღე ისე არ გავა, რომ რომელიმე ობიექტზე მუშა არ დაიღუპოს. ამასთან შეგუება უკვე აუტანელია. ჩემთვის ყველა მკვლელია, ვინც ხელს უშლის შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებას და შრომითი ინსპექციის ამოქმედებას.

– ბოლო ტრაგედიის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აუცილებლად მოხდება ამ ნორმების გამკაცრება.

– ყველა ტრაგედიის შემდეგ ასე ამბობენ, მაგრამ ჯერ შედეგი არ გვაქვს. ერთადერთი შედეგი რაც გვაქვს, ისაა, რომ ადამიანები ყოველდღე იღუპებიან. მაღაროებზე არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა მშენებლობებზე. კორპუსს ისე არ აშენებენ, თითო მუშა რომ არ შესწირონ.

ეს ყველაფერი გახლავთ ამაზრზენი და გაუმაძღარი კორუფციის შედეგი. ეს ყველაზე რბილი შეფასებაა.

ასე გაგრძელება უბრალოდ აღარ შეიძლება, ხელისუფლება არც ამ ტრაგედიის შემდეგ მიიღებს ნორმალურ კანონს. სამუშაო ადგილებზე მუშები ისევ დაიხოცებიან. ერთადერთი, ვისაც შეუძლია ხელისუფლების იძულება, ეს არის საზოგადოება.

მოვუწოდებ საზოგადოებას, რომ ვიყოთ აქტიურები და აღარ დავუშვათ მკვლელოკრატიის გაგრძელება.

– საზოგადოებამ კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს?

– ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. კარგი იქნება, თუ შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების მოთხოვნით აქციები გაიმართება.

– გამოვა ხალხი აქციაზე? არაერთხელ გაიმართა ასეთი მოთხოვნით აქცია, მაგრამ ხალხი არ გამოსულა.

– არ გამოვა ხალხი და ისევ გაგრძელდება მკვლელოკრატია. ვიმეორებ. ხელისუფლების იძულება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. ჩვენი თანამემამულეების სიცოცხლე ჩვენს ხელშიც არის. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რეალურად აამოქმედოს შრომითი ინსპექცია.

მკვლელოკრატიის შესაჩერებლად საუკეთესო საშუალება თავად ამ ხელისუფლების შეცვლაა. შრომითი მკვლელი ივანიშვილი და მისი გარემოცვა სასწრაფოდ უნდა მოვაშოროთ ხელისუფლებას.

– მომხდარში ივანიშვილის რატომ ადანაშაულებთ. მაღაროს, სადაც ტრაგედია დატრიალდა, სხვა პატრონი ჰყავს.

– მაღაროს პატრონი არის ბეჟუა შვილი, რომელსაც ჯერ საკაკაშვილი მფარველობდა, ახლა კიდევ ივანიშვილი. ბეჟუა შვილების და მისნაირების მთავარი მოწოდება ფულის კეთებაა. იმის გამო, რომ 5%-ით მეტი შემოსავალი მიიღონ, მზად არიან, ადამიანები სიკვდილის ველზე გაუშვან.

ამ ბიზნესმენებს ხელისუფლების იმედი რომ არ ჰქონდეთ, თავიანთ საწარმოებში უსაფრთხოების ელემენტარულ ნორმებს მაინც დაიცავდნენ. ხელისუფლებას ხალხის ბედი საერთოდ არ აინტერესებს. მათთვის მთავარი პრემია-დანამატები და ჯიპებია.

– 16 ივლისის ტრაგედიაზე შედარებით მწვავე რეაქცია ჰქონდა ხელისუფლებას. სიკვდილის ველად ქცეული მაღარო დაიხურა.

– მწვავე რეაქცია იყო მოჩვენებითი. ამ პრობლემის მოგვარება რომ სდომნოდათ, შრომითი უსაფრთხოების ნორმებს გაამკაცრებდნენ. რაც შეეხება მაღაროს დახურვას, ეს დროებითია. საწარმოს ხელმძღვანელები ისევ მუშებს აიძულებენ, რომ მოითხოვონ ამ მაღაროს გახსნა.

– რანაირად აიძულებენ?

– გაცდენილ დღეებს არ აუნაზღაურებენ და პირდაპირ დაუყენებენ საკითხს, ან შიმშილი აირჩიეთ, ან სიკვდილის ველის გახსნა მოითხოვეთო. ასეთი მაგალითები არაერთხელ ყოფილა. ადამიანები იძულებული არიან, შიმშილით სიკვდილს მონურ პირობებში მუშაობა არჩიონ.

ივანიშვილის და სააკაშვილის ხელისუფლებები ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს. მათ შორის იმაშიც, რომ ადამიანების ბედი ფეხზე ჰკიდიათ. მაღაროებში და მშენებლობებზე მუშები ნაციონალების მმართველობის დროსაც იღუპებოდნენ. ნაციონალები ამბობდნენ, რომ მათთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის მთავარი ეკონომიკური შედეგი იყო.

„ოცნება“ ამბობს, რომ მათთვის ადამიანის ბედი სულერთი არ არის. ამ დროს იგივეს აკეთებს, რასაც ნაციონალები სჩადიოდნენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პოლიციელებს ქუჩაში ხალხის დახვრეტის უფლებას არ აძლევენ. სხვა შემთხვევაში ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს.

ამიტომ არის საზოგადოების გააქტიურება საჭირო. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ყველა კორპუსის მშენებლობას მუშა შეეწიროს და თითო ტომარა მადნის ამოღებამ ერთი ადამიანი იმსხვერპლოს. 21-ე საუკუნეში ასეთი რამეები არ უნდა ხდებოდეს.

– უბედური შემთხვევები 21-ე საუკუნეშიც ხდება.

– შრომითი გენოციდი, რასაც საქართველოში აქვს ადგილი, უბედური შემთხვევის ბრალი არ არის. ბიზნესმენებს უსაფრთხოების ნორმების დასაცავად ფული ენანებათ. აი, ამიტომ იხოცებიან ადამიანები. არსებული ვითარების შეცვლა საზოგადოებას შეუძლია. ჩვენ ერთად უნდა შევაჩეროთ შრომითი გენოციდი, რომელსაც ივანიშვილის ხელისუფლება უწყობს ქართველ ხალხს.

მინდელის შახტში აფეთქების შედეგად დაიღუპა 4 და დაშავდა 6 ადამიანი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მინდელის შახტის ერთ-ერთ გვირაბში აფეთქების შედეგად დაღუპულია 4 და დაშავებულია 6 ადამიანი.

შსს-ს ცნობით, შახტის გვირაბში, სავარაუდოდ, მეთანის აფეთქების შედეგად კედლების დეფორმაციას ჭერის ჩამოშლა მოჰყვა.

– მიმდინარე წლის 16 ივლისს, გამთენიისას, 112-ში შევიდა შეტყობინება, რომ ქალაქ ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტში, რამდენიმე ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო. შეტყობინების მიღებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლები, სამაშველო სამსახური და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, შახტის ერთ-ერთ გვირაბში, სავარაუდოდ, მეთანის აფეთქების შედეგად კედლების დეფორმაციას ჭერის ჩამოშლა მოჰყვა.



სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს შახტის მიწისქვეშა სამთო ოსტატებმა – 1961 წელს დაბადებულმა მ.ლ-მ, 1963 წელს დაბადებულმა მ.გ.-მ, 1988 წელს დაბადებულმა ლ.ფ-მ და 1961 წელს დაბადებულმა ი.ქ-მ, რომლებიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ.

სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით კი საავადმყოფოში გადაიყვანეს - 1981 წელს დაბადებული მ.ს., 1965 წელს დაბადებული დ.ბ, 1981 წელს დაბადებული გ.მ, 1981 წელს დაბადებული მ.ა, 1995 წელს დაბადებული ნ.ბ და1988 წელს დაბადებული გ.ა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ს 240-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

მამუკა ბახტაძე: „ჩვენ გვჭირდება შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები, ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა არაფერი დგას“

– ჩვენ გვჭირდება შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები. 1-ელი აგვისტოდან შესაბამისი სამინისტრო იწყებს ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას, რომელიც იმედს მაძლევს, რომ ეს პრობლემა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტყიბულის შახტში მომხდარი ტრაგედიის კომენტირებისას განაცხადა.

პრემიერმა ამ ძალიან მძიმე წუთებში დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა.

– 16 ივლისი საქართველოში გლოვის დღეა, ჩვენი მოქალაქეები დაიღუპნენ ტყიბულში. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყველა შახტი დაიხურება. ადამიანის და მოქალაქის სიცოცხლეზე მაღლა არაფერი დგას. ეს შახტები დაიხურება მანამ, ვიდრე სრულფასოვნად არ დასრულდება როგორც სისხლის სამართლებრივი ძიება, ასევე – საერთაშორისო ტექნიკური ექსპერტიზა ამ შახტების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, აუცილებლად დავადგენთ, შეასრულა თუ არა კომპანიამ აქამდე გაცემული რეკომენდაციები. ამ მიმართულებით, შესაბამისი დავალებები მიცემული აქვს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომლებსაც ისინი აუცილებლად შეასრულებენ, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის თქმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს კომპანიასთან და შახტში დასაქმებული ადამიანები სახელფასო ანაზღაურებას ჩვეულებრივად მიიღებენ.

– ეს იქნება ყველანაირი წყაროდან, როგორც კომპანიის, ასევე – სხვა, მაგრამ რაც მთავარია, ისინი აუცილებლად მიიღებენ სახელფასო შემოსავალს. ჩვენ გვჭირდება შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები. როდესაც ვსაუბრობთ, რომ ჩვენი მთავარი მიზანია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, ეს უნდა ეხებოდეს ყველა სფეროს, ადამიანის უფლებებით დაწყებული, მომხმარებელთა უფლებების დაცვით, მათ შორის, რა თქმა უნდა, შრომის პირობებით დასრულებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს სტანდარტი საქართველოში აუცილებლად უნდა დავამკვიდროთ. რაც შეეხება შრომის დაცვის სტანდარტებს, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს მოთხოვნა, დავაკმაყოფილოთ ევროპული სტანდარტი. ეს ბევრ საწარმოში, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, არ იყო. ასე გაგრძელება არ შეიძლება. როდესაც ჩვენ ადამიანის სიცოცხლეზე ვსაუბრობთ, ამაზე მაღლა არაფერი დგას.

ჩვენ გვჭირდება შესაბამისი სტანდარტები, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო. 1-ელი აგვისტოდან პროფილური სამინისტრო ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებებს იწყებს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ერთ დღეში შეიძლება შევცვალოთ ის ძალიან მძიმე სტატუს-კვო, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა, მაგრამ ამის დაწყება და პრინციპული გატარება მნიშვნელოვანია, რასაც ევროპელი დონორების მხარდაჭერით აუცილებლად გავაკეთებთ, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებას არჩევნები პირველივე ტურში უნდა მოვუგოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

– ბატონო გიორგი, ახალი ოპოზიციური ერთობა შედგა. მარათონი გახსნილია. ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი გეყოლებათ. როდის წარადგენთ მას?

– პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ დღეს ძალიან სერიოზული გამარჯვება მოხდა. გაერთიანდით 10 პოლიტიკური სუბიექტი. ამ მოძრაობას კი დაერქვა „სამოქალაქო მოძრაობა – ძალა ერთობაშია“, რადგან ვფიქრობთ, რომ სწორედ ერთიანობის იდეაშია ძალა.

– ორგანიზაცია „ძალა ერთობაშია“ უკვე არსებობს, რომელიც ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვის. ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია?

– არა, ის სამოქალაქო ორგანიზაციაა. ეს არის პოლიტიკური მიზნისთვის შექმნილი. ის ცალკე ორგანიზაციაა, ერთმანეთთან კავშირი არ გვაქვს. იმ ორგანიზაციას თავისი კონკრეტული მიზანი აქვს. „ძალა ერთობაშია“ ჩვენს გერბზეა და ვფიქრობ, მართლა მოვიდა დრო, რომ ამ გაერთიანების რეალიზება მოვახდინოთ და გავერთიანდეთ საერთო მიზნის გარშემო.

– რა არის თქვენი მიზანი?

– ჩვენ უნდა გვქონდეს ამბიცია, რომ ვიყოთ წარმატებული ქვეყანა, ვიყოთ გლობალურ, წამყვან სახელმწიფოებს შორის, რადგან ძლიერი სახელმწიფო არის ძლიერი მოქალაქის გარანტი. დღეს რაც ხდება, ეს საპირისპირო იდეაა, რომ ვართ პატარა სახელმწიფო, რომ ზედმეტი პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია. ამას კი მოყვება რა? ხალხი გაედინება ქვეყნიდან და ფიზიკურად მოსახლეობა აღარ რჩება ქვეყანაში.

ამიტომ ვამბობთ, რომ თუ გვინდა, რომ წარმატებულები ვიყოთ, უნდა გვქონდეს მეტის ამბიცია და შემდეგ ეს მოგვიტანს შედეგს. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ვიყოთ ძლიერ სახელმწიფოებს შორის. ამიტომაც მოხდა ამ მიზნის და იდეის გარშემო გაერთიანება!

– 10 სუბიექტი ვინ არის?

– შემიძლია გითხრათ ათივე. ესენი არიან: ახალი საქართველოსთვის – ნიკოლოზ ვაშაკიძე; ემსახურე საქართველოს – მურმან დუმბაძე; ეროვნულ დემოკრატიული პარტია – ბაჩუკი ქარდავა; სახელმწიფო ხალხისთვის – ნიკა მაჭუტაძე; ქრისტიან-დემოკრატიული პარტია – შოთა მალაშხია; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ნიკა მელია; სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის – ზურაბ ხარატიშვილი; ახალი საქართველო – მე, გიორგი ვაშაძე; საქართველო ლიდერთა შორის – მამუკა გამყრელიძე და საქართველოს ევროპული დემოკრატები – პაატა დავითაია.

– ევროპული საქართველო არ თანამშრომლობს ამ გაერთიანებასთან?

– არა, რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ყველა საუბარი, რომ მეორე ტური და ასე შემდეგ, ეს არის პირდაპირ ხელისუფლებისთვის გადაგდებული კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ დაქსაქსოს ოპოზიციური ხმები და ვერ მოხდეს კონსოლიდაცია, თუმცა ჩვენ ამას ვუპირისპირებთ გაერთიანებას, პირადი ინტერესების და ამბიციების უკანა პლანზე გადატანას და იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მართლაც წარმატებულები.

– ვინ იქნება თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი?

– ეს უკვე 17 ივლისს გახდება ცნობილი, თუ ვინ იქნება ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი. ქუთაისში გვექნება პრეზენტაცია, სადაც წარვადგენთ ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატს. მე ვფიქრობ, რომ ის იქნება ყველაზე ღირსეული კანდიდატი თავისი გამოცდილებით, ცოდნით, პროფესიონალიზმით და იმით, რაც გაუკეთებია უკვე საქართველოსთვის და რის გაკეთების შესაძლებლობაც აქვს.

– თქვენს კანდიდატურაზეც იყო საუბარი, ეს უკვე გამოირიცხა?

– დიახ, ჩემი კანდიდატურა არ იქნება დასახელებული.

– ჩვენი ინფორმაციით, გრიგოლ ვაშაძე იქნება თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

– ვნახოთ, ვნახოთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ამას პრეზენტაციის დროს ვიტყვით. მანამდე დარჩეს სიურპრიზად.

– მთლიანი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება რომ ვერ მოხერხდა, ეს თქვენთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება? პარტიების ნაწილი ამბობს, რომ ეს გაერთიანება უფრო ეფექტური მეორე ტურში იქნებოდა. ამაზე რას იტყვით?

– ეს არის დიდი ზღაპარი, რომ მეორე ტურში გაერთიანება რაღაც შედეგს მოიტანს. მეორე ტური საქართველოში არ არსებობს. საქართველოში არსებობს ერთი ტური და იმ ერთ ტურში უნდა მოიგო! ან აგებ, ან იგებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი დაფიქრდება და კიდევ ბევრი შემოგვიერთდება. ჩვენ კარს არ ვხურავთ. პირიქით, ყველას ვთავაზობთ,

რომ გავერთიანდეთ და გავაგრძელოთ ეს პროცესი.

– მეორე ტური უნდა გამოირიცხოს?

– მეორე ტურისთვის ბრძოლა და საერთოდ არჩევნების მიზნად ამის დასახვა არასწორია. ეს არის პირდაპირ „ქართული ოცნების“ ინტერესები. იმიტომ, რომ მეორე ტურისთვის თუ იბრძვი, ე.ი გამარჯვებისთვის არ იბრძვი. ჩვენ ხომ ვნახეთ, რამდენი მეორე ტურიც შედგა, არაფერი არ მოხდა ამ მეორე ტურში. ამ მეორე ტურზე საუბრით, შარშან თითქმის პირველივე ტურში აიღო გამარჯვება „ქართულმა ოცნებამ“.

– ანუ ის ოპოზიციური პარტიები, ვინც მეორე ტურზე საუბრობენ, „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობენ?

– ნებით თუ უნებლიეთ ასე გამოსდით. ერთი ვარიანტია, რომ პირად ამბიციებს ვერ აბიჯებენ და მეორე ვარიანტია, რომ ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. ჩვენ აქ გავერთიანდით ის ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად რაციონალურად ვუყურებთ ამ პროცესს. გადავდეთ გვერდზე პერსონალური ამბიციები და გვინდა, რომ ქვეყანა დავაყენოთ ფეხზე. ეს არის განსხვავება ჩვენსა და მათ შორის.

– ხედავთ გამარჯვების შანსს ამ პირობებში?

– მე ვფიქრობ, რომ შანსი არის, როცა უყურებ ხელისუფლებას, რომ ჯიუტად იმეორებს იგივე შეცდომებს. ვხედავთ სამთავრობო ცვლილებებს და ვის გადაყენებასაც საზოგადოება ითხოვდა, ის დაიტოვა. როცა ვხედავთ, რომ ხელოვნური ადამიანები ინიშნებიან მინისტრებად, განათლება იქნება ეს თუ ეკონომიკური სექტორი.

– იწუნებთ განათლების და ფინანსთა მინისტრებს?

– განათლების მინისტრი რომ 5-წუთიან ლაპარაკში ვერ გაგაგებინებს, რისი თქმა უნდა, წაკითხულის შინაარსი სხვას როგორ უნდა მოსთხოვოს, როგორც მინიმუმ, გამოცდაზე. როცა ეკონომიკის მინისტრი, ვერ გაიგებ, რაზე ლაპარაკობს, როცა ფინანსთა მინისტრი უბრალოდ რომელიღაც კომპანიის კომერციული დირექტორი იყო, როცა პრემიერ-მინისტრად ისეთი გყავს, რომლის ცნობადობაც პრემიერმინისტრობამდე 4% იყო, ეს არის ხელოვნური პროცესი.

ხალხი დაიღალა ამ უპერსპექტივო მიზანმიმართული პროცესით, როცა ეუბნებიან, რომ არ შეგიძლია, სუსტი ხარ, პატარა ხარ, ზედმეტის ამბიცია არ უნდა გქონდეს. ეს რატომ არის, იცით ივანიშვილის ინტერესში?

– რატომ?

– ერი როდესაც ვერ გრძნობს თავისუფლების ხიბლს და ვერ ხედავს პერსპექტივას და მომავალს, ძალიან მარტივია მისი დამორჩილება და ამ არაფორმალური მმართველობით მართვა. დაგვცინის ეს ადამიანი! იმასაც კი არ კადრულობს, რომ თვითონ იყოს პრემიერი. ფაქტობრივად გვეუბნება, რატომ უნდა ვიყო მე პრემიერი, დაგინიშნავთ ვიღაცას და ის იქნება პრემიერიო.

– საინტერესოა, ვინ იქნება სახელისუფლო კანდიდატი. ბოლო დღეებია, აქტიურად საუბრობენ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურაზე. რას იტყვით თქვენ?

– მე სალომე ზურაბიშვილს ასე შევაფასებ – მე მართლა მგონია, რომ ის არის ანალოგური ტელეფონი და სმარტფონების ერაში ანალოგური, ხაზიანი ტელეფონი არ გამოადგება ქვეყანას. რომელს იყიდის მოქალაქე, როდესაც მაღაზიაში შევა, ყურმილიან ტელეფონს თუ სმარტფონს?! აი, ეს არის განსხვავება. პიროვნულად საერთოდ არ ვეხები სალომე ზურაბიშვილს, არც მის ასაკს და არაფერს, მაგრამ შინაარსობრივად ის არის მე-20 საუკუნე, ჩვენ კი 21-ში ვართ უკვე. მორჩა, დამთავრდა. თუ ხელისუფლება მას დაუჭერს მხარს, ჩათვალეთ, რომ „ოცნება“ დამარცხებულია. ვერ შეძლებენ ხმების მობილიზებას!

მამუკა არეშიძე: „ევროპულმა საქართველომ“ შეიძლება მარგველაშვილის კანდიდატურა დააყენოს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **მამუკა არეშიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებსა და მათ შანსებზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, 10 ოპოზიციური პარტია გრიგოლ ვაშაძეს ასახელებს საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს არის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატურა თუ ოპოზიციური პარტიების?

– რასაკვირველია, გამოდის ნაციონალური მოძრაობა, პლუს დანარჩენები, მაგრამ ეს პარტიები, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად არიან, ძალიან შეზღუდული რესურსის მქონე პარტიები არიან. ცოტა ამომრჩეველი ჰყავთ, რომ გითხრათ, ეს უკვე ძლიერი ნათქვამი იქნება, რადგან მათ პრაქტიკულად ამომრჩეველი არ ჰყავთ. რასაკვირველია, გამწევი ძალა ნაციონალური მოძრაობაა და არა სხვა პარტია, რომელიც ამ ერთობაშია. გამოდის, გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურა დაყენა ნაციონალურმა მოძრაობამ და დანარჩენებმა მხარი დაუჭირეს.

ამ პარტიებმა ძალიან კარგად იციან, რომ ეს არის წაგებული თამაში, შანსი ძალიან დაბალი აქვთ.

– გრიგოლ ვაშაძე ადგილობრივ არჩევნებზე ქუთაისში იყრიდა კენჭს და წააგო. ის უკვე გამოცდილი კანდიდატია და რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება, სანდრა რულოვსი უფრო მეტ ხმას არ აიღებდა?

– კი, სანდრა რულოვსს უფრო მეტი ხმის აღების შანსი ექნებოდა, ვიდრე ვაშაძეს, მაგრამ გამარჯვების შანსი არა, ამიტომ თქვა მან უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. ეს კარგად იცოდა მიხეილ სააკაშვილმა. სანდრა რულოვსის უკან კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილი დგას. რასაკვირველია, ნაციონალური მოძრაობის უკანაც სააკაშვილი მოიაზრება, მაგრამ იქ მაინც დისტანცირებულია გარკვეულწილად, რადგან აქ არ არის და პარტიას უშუალოდ ვერ ხელმძღვანელობს. აქედან გამომდინარე სააკაშვილი სანდრა რულოვსის უკან კონკრეტულად მოიაზრება და მისი დამარცხება სააკაშვილისთვის მომგებიანი ნამდვილად არ იქნებოდა.

ვაშაძის შემთხვევაში მაინც შეუძლია გარკვეული დისტანცირება, უშუალოდ არ ვიყავი და არჩევნებში არ ვერეოდიო. ისე, ბევრს ლაპარაკობდა, რომ ამ არჩევნებში მოახდენს იმის დემონსტრირებას თუ როგორი ძლიერი და კონსოლიდირებულია ნაციონალური მოძრაობა.

– იმასაც ამბობდა, რომ ჩამოდიოდა.

– დიახ, ის ყველაფერს ამბობდა, მაგრამ ახლა იტყვის, ისეთი პირობები შემიქმნეს, რომ პატიმრობა მომისაჯეს, რომ არ ჩამოვსულიყავიო.

– „ევროპული საქართველო“ ამბობს, რომ სასიამოვნო სიურპრიზი იქნება მისი კანდიდატი.

– რა სიურპრიზს უმზადებენ ქართველ საზოგადოებას, ვერ გეტყვით, მაგრამ ყველა ამ პარტიამ კარგად იცის, რომ მათ გამარჯვების შანსი არა აქვთ.

– მაშინ რა გამოდის, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს და ვინც არ უნდა დააყენოს ხელისუფლებამ, ყველა გავა. თუ ფიქრობთ, რომ კანდიდატს მაინც ექნება მნიშვნელობა?

– რასაკვირველია, კანდიდატს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დღეს ოპოზიციური ძალა იმდენად დაქსაქსულია, რომ ისინი ერთიან კანდიდატს ვერ აყენებენ და, ცხადია, ამ პირობებში მათი შესაძლებლობები არაფრის მთქმელია. ერთი კანდიდატი რომ დაეყენებინათ, შეიძლება კიდევ ჰქონოდათ შანსი, ოპოზიცია მხოლოდ ნაციონალური ფრთა არ არის, ამიტომ დღეს წარმოუდგენელია კონსოლიდირებული კანდიდატი. ეს უკვე ფაქტია. ამ სიტუაციაში „ქართულ ოცნებას“ უკვე აქვს 40%-იანი უპირატესობა.

– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა, რომ კურიოზულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგან მმართველი პარტია კანდიდატს ვერ ასახელებს. ბოლოს გავრცელებული ხმებით სალომე ზურაბიშვილს დაუჭერენ მხარს, თუმცა, გუნდის შიგნით ერთიანი პოზიცია არ არის. თქვენ თუ გაქვთ რამე ინფორმაცია?

– მე ვიცი, რომ ძალიან დიდი ხანი მიმდინარეობდა ამ თემაზე ლაპარაკი. ხან ამოტივტივდებოდა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატი, ხან ქრებოდა, მაგრამ სულ იყო საუბარი. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის დღემდე გაუგებარია, კონსტიტუციურად პრეზიდენტს რა დიაპაზონის უფლებები აქვს.

– კონსტიტუციურად ქვეყნის პირველი პირია.

– კონსტიტუციაში რომ წერია პირველი პირია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეალურადაც პირველი პირია. პირველი პირის მდგომარეობას განაპირობებს არა კონსტიტუციაში ჩანაწერი, არამედ მისი უფლებების ზღვარი, რომელიც შეზღუდულია კონსტიტუციის ახალი რედაქციით.

სალომე ზურაბიშვილს ერთი დიდი პლუსი აქვს და ეს არის საგარეო პოლიტიკაში მისი დიდი გამოცდილება. პრეზიდენტს წარმომადგენლობითი ფუნქცია აქვს საგარეო პოლიტიკაში, ვფიქრობ, საერთაშორისო ასპარეზზე სალომე ზურაბიშვილის ფიგურა მომგებიანი იქნება. მით უმეტეს, არა მხოლოდ გამოცდილება აქვს, არამედ კავშირებიც აქვს, განსაკუთრებით ევროპულ სტრუქტურებში.

რაც შეეხება მინუსს, ეს მისი ხასიათის სიხისტეა, გარკვეული მოუქნელობა. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ საბოლოო ჯამში „ოცნებამ“ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა გადაწყვიტოს, მაგრამ თუ გადაწყდება, ჩემი აზრით, აქამდე დასახელებულებს შორის საუკეთესო ვარიანტია.

– რამდენად წავა ამაზე „ქართული ოცნება“, რომ არ ჰყავდეს საკუთარი კანდიდატი?

– მხოლოდ „ქართულ ოცნებაში“ არ არის საქმე. თუ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინ იქნება ასე. მიუხედავად იმისა,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ქალების ჩხუბი პარლამენტში

თინა ბოკუჩავა ეკა ბესელიას: „ენას კბილი დააჭირე, შე მაიმუნო ქალო“

შორენა მარსაგიშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი გუშინ, 16 ივლისს რომ გამართულიყო, აუცილებლად გადაიფარებოდა – საქართველოს პარლამენტში ქალმა დეპუტატებმა იჩხუბეს.

ეკა ბესელიას და თინა ბოკუჩავას ჯახმა იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ირაკლი კობახიძე იძულებული გახდა, სპიკერატი დაეტოვებინა და ქალები დაეწყნარებინა.

დაპირისპირება ეკა ბესელიას განცხადების გამო დაიწყო. მან ნაციონალებს, როგორც ყოველთვის, სისხლიანი 9 წელი გაახსენა. მანამდე თინა ბოკუჩავამ ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული პირების გათავისუფლების საქმეში ბესელიას შესაძლო კორუფციულ ინტერესზე მიუთითა, რამაც კანონმდებელი ძალიან გააბრაზა და შეტევაზე გადავიდა.

– მე თქვენ 2004 წლიდან გებრძოდით, როგორც კი ხელისუფლებაში მოხვედით. 2010 წელი იყო, როდესაც თქვენი პრეზიდენტის ბრძანებით ჩემი სკოლის მოსწავლე 16 წლის შვილი, ჩემს ძმასთან ერთად დაუპატიმრეს და ჩემი ოჯახის წევრები მძევლად აიყვანეს. მაშინ როდესაც შენი ლიდერი სააკაშვილი ჩემს ოჯახის წევრებს ატერორებდა და მძევლად ჰყავდა, მაინტერესებს, შენ, თინა ბოკუჩავას, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ოქროს სამაჯურს საჩუქრად რატომ გიგზავნიდა. ეს კონკრეტული ფაქტი არის იმ ბრალდების საქმეში, რომელიც სასამართლოშია გაგზავნილი, – მიაკივლა ბესელიამ ბოკუჩავას.

კივილი ეგეთი არ უნდაო და ბოკუჩავა უფრო ხმამაღალი კივილით მიიჭრა იმ ადგილთან, სადაც ბესელია იჯდა.

– შე სამარცხვინო, ქალო. შენ გგონია, რომ გაგივა ეს ყველაფერი? შენი ყაჩაღი შვილის საქმეებს ვთარგმნიდი, ენდიაი-ში როდესაც ვმუშაობდი, 2004 წელს კი ვსწავლობდი დაფინანსებით, რომელიც ამერიკაში მომცეს.

შენი შვილის მსგავსად იარაღით და დანებით კი არ დავრბოდი, ვსწავლობდი. ძალიან კარგად იცი შენ ჩემი წარსული, ამიტომ, ენას კბილი დააჭირე, შე მაიმუნო ქალო, – უყვიროდა ბოკუჩავა ბესელიას.

ამ სცენას ძლიერი სქესის წარმომადგენლები მშვიდი სახეებით უყურებდნენ. მხოლოდ სპიკერს ჰქონდა შეშფოთებული სახე და ბოკუჩავას ემუდარებოდა: თინა, თინა დამშვიდდი.

სპიკერის და მანდატურების ჩარევის წყალობით, ბესელია-ბოკუჩავას შორის მხოლოდ სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ჩხუბის შემდეგ მათ მედიასთან ცალ-ცალკე გააკეთეს კომენტარები.

ბესელიას განმარტებით, მის კოლეგას სიმართლე არ მოეწონა და ამან გამოიწვია მისი გაღიზიანება. ბესელიას თქმითვე, ბოკუჩავს სახელი აღმოჩნდა იმ სიაში, რომლითაც ადამიანები ძვირფას ნივთებს იღებდნენ ბიუჯეტის ხარჯზე.

– სიმართლის მოსმენა, როგორც ჩანს გაუჭირდა ქალბატონ ბოკუჩავას, მაგრამ მას მოუწევს ხშირად მოისმინოს ეს სიმართლე, იმის საპასუხოდ, რა სიცრუესაც ავრცელებს ხოლმე. ჩემი პასუხი ეფუძნება კონკრეტულ მტკიცებულებებს, როდესაც ის საუბრობს კორუფციაზე და აყენებს ბრალდებებს, რომელიც მართლა შეიცავს ცილისმწამებლურ შინაარსს და ვთხოვთ მას, დადოს კონკრეტული ფაქტები. ექვსი წელი ლაპარაკობენ ასეთი კონტექსტით და ფაქტები არ აქვთ. პასუხად მან მიიღო ის კონკრეტული მასალა, რომელიც აღმოჩნდა პარლამენტში შემოსულ მასალებში. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა და სახელმწიფო დაცვის სამსახურის ბიუჯეტის ხარჯვითი დოკუმენტაცია იყო გამოთხოვილი, იქ აღმოჩნდა ბევრი ნაცნობი სახელი და გვარი, მათ შორის იყო ბოკუჩავა, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეგზავნებოდა საჩუქრები ძვირფასი ნივთების სახით.

იმ საქმეზე სააკაშვილს ბრალი დაედო, განაჩენიც გამოტანილია. ამ საჩუქრების საერთო რაოდენობა და სხვა თანხები, რომელსაც იყენებდა პირადი ინტერესებისთვის სააკაშვილი, 8 მილიონს გასცდა. როდესაც ქალბატონი ბოკუჩავა საუბრობს ცილისწამებაზე, ფაქტი არ აქვს. მე კონკრეტული ფაქტი მოვუყვანე და ვკითხე, რატომ იღებდა ასეთ საჩუქრებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადამიანი, რომელიც მაშინ არ იყო მის პარტიაში და სხვა პოზიციაზე იყო. ეს მწარედ მოეჩვენა ქალბატონ ბოკუჩავას. თუ უნდა, იჩივლოს, მიბრძანდეს. დამოუკიდებელი სასამართლოა და იმ სასამართლოში, იმ საქმეში იპოვის დოკუმენტებს, სადაც ეს ფაქტი ფიგურირებს, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

უფროსი კოლეგის განცხადებას ბოკუჩავა გამოეხმაურა. მან ეკა ბესელიას ცილისმწამებელი, უტიფარი და მატყუარა უწოდა. ბოკუჩავას თქმით, მისმა კოლეგამ მწარე სიმართლე ვერ აიტანა.

– ეკა ბესელიას გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ მან ისაუბრა იმ შესაძლო კორუფციულ გარიგებებზე, რაც ახლდა ე.წ. პოლიტპატიმრების სიას.

ეს სია მან შეადგინა 2012 წელს, რომლის შედეგადაც გამოუშვა რუსი ჯაშუშები. შემდგომ ეკა ბესელია გადმოვიდა პირად შეურაცხყოფაზე და, რაც მთავარია, ტყუილების ტირაჟირებაზე. მისგან ასეთი ტყუილები გასაკვირი არ არის, ეს არის მისი ჩვეული სტილი.

2004 წელს მე ამერიკაში ვსწავლობდი და შემდგომ ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაციაში, მათ შორის მისი შვილის და მისი ძმის საქმეზე. მან ძალიან კარგად იცის, რომ რაც დღეს თქვა, არის ტყუილი, – აღნიშნა ბოკუჩავამ.

„ოცნების“ დეპუტატები ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ

ბექა ნაცვლიშვილი: „კობახიძე პარლამენტს აკნინებს“

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი მარგველაშვილთან ბრძოლაში გამობრძმედილმა პარლამენტის სპიკერმა იერიში ყოფილ პრემიერ-მინისტრზეც მიიტანა. ირაკლი კობახიძემ გიორგი კვირიკაშვილი დაადანაშაულა იმაში, რომ პარლამენტმა შრომითი უსაფრთხოების ნორმები ვერ გაამკაცრა.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, მმართველ გუნდს შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ჰქონდა სწორი პოზიცია, თუმცა მთავრობის მაშინდელმა ხელმძღვანელმა უმრავლესობას მისი განხორციელების საშუალება არ მისცა.

– ჩვენი სურვილი იყო, რომ მაქსიმალურად გაგვემკაცრებინა ჩანაწერები შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კონსტიტუციის შესაბამის მუხლში და ამასთან დაკავშირებით გვქონდა კომისიაში ჩამოყალიბებული პოზიცია. თუმცა შემდეგ დაიკავა საკმაოდ ხისტი პოზიცია ამ მთავრობის ხელმძღვანელობამ და ეს გახდა მიზეზი იმ პროცესებისა, რომელიც თქვენ კარგად გახსოვთ. მათ შორის პროტესტის მიზეზიც გახდა ჩვენი პოზიციის ცვლილება. ჩვენ მაშინ ანგარიში გავუწიეთ მთავრობის ხელმძღვანელობის პოზიციას, რაც ვფიქრობ, რომ იყო არასწორი კომპრომისი.

არის კონკრეტული ზომები მისაღები იმისთვის, რომ მაქსიმალურად მაღალი სტანდარტით დაინერგოს შრომის უსაფრთხოება ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მე მითითება გავაკეთე წინა სამთავრობო ხელმძღვანელობაზე. ამასთან დაკავშირებით არის კონკრეტული გარემოებები. ყველა არის ამის თვითმხილველი. ჩვენ კომისიაში გვქონდა პოზიცია ჩამოყალიბებული და შემდეგ კომისიის მომდევნო სხდომაზე, საკონსტიტუციო კომისიას ვგულისხმობ, მე ღიად განვაცხადე მაშინ, რომ მთავრობის ხისტი პოზიცია გახდა ჩვენი პოზიციის ცვლილების მიზეზი, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

სპიკერი ამ განცხადებით ტყიბულში მომხდარ ტრაგედიას გამოეხმაურა და იმავე დროს კვირიკაშვილი დაგმო. მმართველ გუნდში ექსპრემიერის გმობაზე მწვანე აქვთ ანთებული. კობახიძის სიმღერაც, სავარაუდოდ, ამ ოპერიდან არის.

საინტერესოა, სპიკერი კვირიკაშვილის გაჯიუტებაზე ახლა რატომ ალაპარაკდა. ისიც ნაკლებად დასაჯერებელია, რომ „ოცნების“ საპარლამენტო ფრთამ კვირიკაშვილს გაუწია ანგარიში. გასულ წელს მასთან შეიძლება კიდევ წასულიყვნენ დათმობაზე, მაგრამ ამ წლის დასაწყისში ექსპრემიერს ეუბნებოდა: თინა, თინა დამშვიდდი.

ტაბულა

ბიუჯეტიდან ეგზავნებოდა საჩუქრები ძვირფასი ნივთების სახით.

ეს სია მან შეადგინა 2012 წელს, რომლის შედეგადაც გამოუშვა რუსი ჯაშუშები. შემდგომ ეკა ბესელია გადმოვიდა პირად შეურაცხყოფაზე და, რაც მთავარია, ტყუილების ტირაჟირებაზე. მისგან ასეთი ტყუილები გასაკვირი არ არის, ეს არის მისი ჩვეული სტილი.

2004 წელს მე ამერიკაში ვსწავლობდი და შემდგომ ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაციაში, მათ შორის მისი შვილის და მისი ძმის საქმეზე. მან ძალიან კარგად იცის, რომ რაც დღეს თქვა, არის ტყუილი, – აღნიშნა ბოკუჩავამ.

მამუკა არეშიძე: „ევროპულმა საქართველომ“ შეიძლება მარგველაშვილის კანდიდატურა დააყენოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რომ უკვე „ქართულ ოცნებაში“ არის ჯგუფები, რომლებიც ყველა გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება მაინც უმრავლესობით მოხდება.

– ერთპიროვნულად არ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას ივანიშვილი?

– არა, არა. საქმე სხვანაირად არის. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია თავის მიერ დასახელებული კანდიდატურა გაიტანოს, მაგრამ „ოცნებაში“ არის ჯგუფები, რომლებსაც ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვთ. ისინი თავიანთ აზრს გამოთქვამენ, მაგრამ უმრავლესობით მაინც ისე გადაწყდება. მე მაინც მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილი უფრო ერთ-ერთი ვარიანტია და არა – მიღებული გადაწყვეტილება.

– მარგველაშვილის გადაწყვეტილება კვლავ უცნობია. როგორ ფიქრობთ, ის მეორე ვადით იყრის კენჭს თუ არა?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ „ევროპული საქართველო“ სწორედ ამ სიურპრიზს გვიმზადებდეს. მე არ გამოვრიცხავ, რომ „ევროპული საქართველო“ მარგველაშვილის დათანხმებას ცდილობდეს. თუმცა, მარგველაშვილი, მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, არ უნდა გადაიხაროს იმ ძალისკენ, რომელსაც ის წლების განმავლობაში ებრძოდა. ბევრი რამ არის, რამაც უნდა დააბრკოლოს ამ დათანხმებაზე პრეზიდენტი მარგველაშვილი, მაგრამ პოლიტიკა იმდენად ბინძური რამ არის, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მე რამდენადაც ვიცი, გიორგი მარგველაშვილს კონსულტაციები უსუფაშვილის „შენების მოძრაობასთან“ ჰქონდა. რითი დასრულდა ეს კონსულტაციები, უცნობი დარჩა.

როგორც ჩანს, მარგველაშვილი მაინც ბოლო მომენტისთვის ემზადება, შეაფასებს რა ყველა შანსს, ყველა კანდიდატურას და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

– ივლისის ბოლოსთვის სრულად გვეცოდინება კანდიდატების ვინაობა?

– მე ვფიქრობ, რომ კი, თვის ბოლოსთვის უნდა გაირკვეს, ვინ იქნება მმართველი ძალის კანდიდატურა და აპირებს თუ არა მეორე ვადით გიორგი მარგველაშვილი კენჭისყრას. მე მაინც ვფიქრობ, რომ მთავარი ინტრიგა სწორედ აქ არის: თუ ვინ იქნება „ოცნების“ კანდიდატი და მარგველაშვილი დააყენებს თუ არა კანდიდატურას.

კრემლი ფედერალიზაციის თემას საქართველოშიც ნამოსწევს?

„რუსეთი თავისი მიზნებისთვის იყენებს ცინიკურ ანტილიბერალიზმს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დაძაბვის ფონზე ქართველი ანალიტიკოსების ნაწილი დარწმუნებულია, კრემლი პოზიციებს თმობს რეგიონში, აგონიაშია და ამის გამო ის საქართველოში ამერიკის წინააღმდეგ სასტიკ არატრადიციულ მეთოდებს გამოიყენებს.

საქართველოს მიმართ ისევ აგრესიულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებები. ამ უწყების ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა ემუქრება საქართველოს, რომელიც ნატოს წევრობას აპირებს:

– რუსეთი მიიღებს ზომებს ნატოში ახალი წევრების, მათ შორის საქართველოს შესვლის შემთხვევაში.

ზოგიერთი მიმომხილველის დაკვირვებით კი, რუსეთი დასავლეთის ზეწოლით საქართველოს მიმართ უკვე დამთმობი გახდა. აზერბაიჯანელი ექსპერტი მეხმან ალიევი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში რუსეთმა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეარბილა. აშშ და რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ერთმანეთს აღარ უპირისპირდებიან.

დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის კონტექსტში საქართველოს უმეტესად ისევ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად მოიხსენიებენ.

დასავლეთი მხარს უჭერს ამ სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთი კი მოლდოვას და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ ერთნაირ ზრახვებს ამჟღავნებს.

მიუხედავად იმისა, რომ კრემლს აღიარებული აქვს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“, არ მოხსნილა დღის წესრიგიდან შესაძლო კონფედერაციის ან ფედერალიზაციის საკითხი. სიტუაციის შეცვლას მსოფლიოსა და რეგიონში, შესაძლოა, ძველი თემების წამოწევა მოჰყვეს.

ამ დღეებში უკვე განახლდა მოლდოვას სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, კერძოდ, ფედერალიზაციაზე ლაპარაკი.

კონფედერაციული ან ფედერაციული მოწყობის მოდელი კრემლს საქართველოსთვისაც აქვს შემუშავებული. თუ მოსკოვი გადაწყვეტს, ამ თემას კიდევ ერთხელ გააქტიურებს. რუსეთი არ ახორციელებს აფხაზეთის სრულ სუბსიდირებას და არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ამბობენ, რომ მას აფხაზეთი ტვირთად ექცა.

რუსეთს არასდროს უნდოდა უნიტარული საქართველოს არსებობა. ამბობენ, რომ სწორედ რუსეთის მიზნებს ემსახურებოდა საქართველოში თავის დროზე გუბერნატორის ინსტიტუტის შემოღება იმ დროს, როცა კანონმდებლობით ქვეყანა მხარეებად არ იყოფა.

მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებული რუსეთი პროპაგანდას არ იშლის. ამერიკელი მიმომხილველები მიუთითებენ რუსეთის ახალ იდეოლოგიაზე, რომელსაც ის თავის მეზობელ სახელმწიფოებშიც კარგად იყენებს. ესაა ცინიკური ანტილიბერალიზმი.

მათი შეფასებით, რუსეთს ამაში ხელს უწყობს ნატოს წევრი ქვეყნების ნაწილი. მაშინ, როდესაც რუსეთი ებრძვის დემოკრატიას, ანგრევს უსაფრთხოების ევროპულ წესრიგს უკრაინაში, იყენებს ნეიროპარალიტიკურ ნივთიერებებს დიდ ბრიტანეთში და ჰიბრიდულ ომს აწარმოებს ბევრ სახელმწიფოსთან, ნატოსთვის შიდა საფრთხეს ქმნიან ალიანსის წევრი სახელმწიფოები.

საუბარია იმ ქვეყნებზე, რომლებიც ანგრევენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ეს ხელს უშლის იმას, რომ ნატო იყოს უსაფრთხოებისა და თავისუფლების გარანტი და მოწყვლადს ხდის ალიანსს რუსეთის შემოტევებისადმი.

ანალიტიკოსების შეშფოთებას იწვევს ავტორიტარიზმის დამკვიდრება თურქეთში, უნგრეთსა და პოლონეთში, ასევე საგანგაშო ანტიდემოკრატიული ტენდენციები სლოვაკეთში, ჩეხეთსა და აშშ-შიც კი.

მათი სიტყვებით, რუსეთის ანტილიბერალიზმი, რომელსაც ის სხვა ქვეყნებშიც ქადაგებს, ემყარება ავტორიტარიზმს, ნაციონალიზმსა და კორუფციას.

„აჭარა იყო, არის და იქნება ორ შტოდ გაყოფილი“

გულიკო ბალაძე

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურის გამოჩენამ ვნებათაღელვა გამოიწვია. მოძრაობა საქართველოს ერთიანობის კავშირის თავმჯდომარე **ჯუმბერ თავართქილაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ფაქტობრივად, აჭარაში ყოველთვის ორი კლანი ებრძვის ერთმანეთს, ერთი ე.წ. ქობულეთური და მეორე – დანარჩენი რაიონების წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც ასეა.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება აჭარის მთავრობის მეთაურის შერჩევის პროცესის მიმართ? თუ იცნობთ „ოცნების“ კანდიდატურას, როგორც ვიცი, წარმოშობით იმ რაიონიდან (ხულოს რაიონი) უნდა იყოს, საიდანაც თქვენ ბრძანდებით.

– კანდიდატს ვიცნობ, როგორც კარგ, განათლებულ, ჩამოყალიბებულ პიროვნებას. მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა, ძალიან დახვეწილი, განათლებული ადამიანია, მაგრამ ეს მას ვერანაირად დაეხმარება საქმიანობაში ამ რთულ პერიოდში, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში.

– ალბათ იცით, აჭარაში მას უკვე მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, ყოფილი დეპუტატები. ითქვა, რომ მისი მამა არბევდა ხალხს.

– ეს ძალიან დიდი სისულელეა.

– თქვენ ამბობთ, სისულელეაო, მაგრამ ზოგიერთები აცხადებენ, რომ სწორედ ამ მოტივის გამო, მის მიერ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტის დაკავება მიუღებელია.

– შავი პიარია. ეს შავი პიარი იცით საიდან მოდის? უბრალოდ, აჭარაში ოდითგანვე იყო, არის და იქნება ორი შტო, ე.წ. ქობულეთისა და დანარჩენი რეგიონის შტოები.

– და ეს ორი შტო რა შუაშია მთავრობის თავმჯდომარეის პოსტზე რიჟვაძის კანდიდატურის დასახელებასთან?

– ეს ორი შტო ოდითგანვე ებრძოდა ერთმანეთს. ასე იყო, არის და იქნება.

– კი მაგრამ, მგონი, რიჟვაძის კანდიდატურის მიუღებლობაზე საუბრობდა მურმან დუმბაძე. როგორც ვიცი, დუმბაძე ქობულეთის შტო არ არის.

– მურმან დუმბაძე ყველა შტოზე მორბენალი პაიკია. საიდანაც მას რაიმე სარგებელი ექნება, იქით წავა. რაც შეეხება რიჟვაძის მამის მხრიდან ხალხის დარბევებში მონაწილეობას, სისულელეა. ასეც რომ იყოს, შვილები არ აგებენ პასუხს მამების საქმიანობაზე.

– გინდათ თქვათ, რომ თორნიკე რიჟვაძეს მამის პოლიტიკურ შეხედულებებთან კავშირი არ აქვს?

– რა თქმა უნდა, არ აქვს. იცით, ზემო აჭარის რეგიონის ხალხს ერთი კარგი თვისება რა აქვს?

– რაზე საუბრობთ?

– ზემო აჭარის მცხოვრებლები ვერხვის ფოთლებივით მოშრიალე ხალხი არ არის, საიდანაც ქარი დაუბერავს, იქით რომ გადაიხაროს.

– მე მურმან დუმბაძეზე გკითხეთ.

– მურმან დუმბაძე კი წარსულია. ახლა ახალგაზრდა თაობების დროა.

– ანუ რიჟვაძე ახალგაზრდაა და მისი წარდგენა შეიძლება?

– ვინც უნდა იყოს, გვარებს მნიშვნელობა არ აქვს, ვერავინ იქნება წარმატებული მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე, სანამ ეს თანამდებობა არჩევითი არ გახდება.

– არჩევითობა გასაგებია, მაგრამ პოლიტიკის დაუწერელი თუ დაწერილი კანონია, რომ ზოგადად, გამარჯვებული პარტია აკომპლექტებს მთავრობას. ვერ გავიგე, ეს გარე ხალხი ახლა რისთვის იბრძვის?

– ზოგადად, შეიძლება ასეა, მაგრამ ჩემი აზრით, მთავრობის თავმჯდომარე ვერ იქნება წარმატებული, სანამ ეს თანამდებობა არჩევითი არ იქნება, რადგანაც ვინც ნიშნავს, კანდიდატურებიც მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც ვინმეს გავლენის ქვეშ იმყოფება, წარმატებული ვერ იქნება.

– რა შემთხვევაში შეიძლება აჭარის მთავრობის თავმჯდომარე იყოს წარმატებული? მხოლოდ არჩევითობაა მთავარი?

– წარმატებული მთავრობის თავმჯდომარე იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება ხალხის მიერ არჩეული და ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე.

– კი, მაგრამ უმაღლესი საბჭო ხომ არჩევითია, მთავრობის თავმჯდომარეც არჩევითი რატომ უნდა იყოს?

– დიახ, მთავრობის თავმჯდომარეც უნდა იყოს არჩევითი. აჭარის უმაღლესი საბჭო კი, როგორც სახელმწიფო ორგანო, უბრალოდ, ხალხის წურბელა და ზედმეტი რგოლია. მის ნაცვლად უნდა იყოს სხვა ფორმის ორგანო, რომელ ორგანოზეც ფული არ დაიხარჯება. ის ფული უნდა გადანაწილდეს რეგიონის რაიონებზე.

თბილისში ავტობუსების შესყიდვის სურვილი წინა ტენდერში დისკვალიფიცირებულმა კომპანიამ გამოთქვა

თბილისისთვის ახალი ავტობუსების შეძენის სურვილი ისევ ერთმა კომპანიამ გამოთქვა. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა კვლავ კომპანია – „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ მიიღო. შეიძენს თუ არა თბილისისთვის ახალ ავტობუსებს წინა ტენდერში დისკვალიფიცირებული „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ცნობისათვის, თბილისის მერიამ მუნიციპალური მომსახურებისათვის საჭირო საზოგადოებრივი ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი, აუქციონის გარეშე თავიდან 2018 წლის 24 მაისს გამოაცხადა. წინადადებების მიღება 2 ივნისს დაიწყო და 5 ივნისს დასრულდა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მერია 90 ავტობუსის შესყიდვას 45 მილიონ ლარად გეგმავდა. შეთავაზების ფასის კლების ბიჯი 180 ათასი ლარი იყო. გარანტიის ოდენობა 45 000 ლარი, ხოლო ვადა 160 დღე. თუმცა მაშინ ტენდერი ჩავარდა. ივნისშივე თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ ტენდერი მეორედ გამოაცხადა, თუმცა ამჯერადაც ტენდერი, ფაქტობრივად, ჩავარდა. ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო ტენდერიდან დისკვალიფიცირდა.

მორიგ, მესამე შესყიდვაზე ტენდერი 5 ივლისს გამოაცხადა, საბუთების მიღება 13 ივლისს დაიწყო და დღეს დასრულდა. ამჯერადაც, ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ მიიღო. დააკმაყოფილებს თუ არა სატენდერო მოთხოვნებს დისკვალიფიცირებული კომპანია, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, „პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული

ყველა ავტობუსი უნდა იყოს ერთი მარკის და ერთი მოდელის. ავტობუსების გამოშვების თარიღი უნდა იყოს არანაკლებ 2018 წელი.

ამასთან, ავტობუსი უნდა იყოს მარცხენა საჭიანი, გამაძლიერებლით აღჭურვილი. ავტობუსის ჭერი და გვერდითა კედლები უნდა იყოს თბო-იზოლირებული. მარჯვენა მხრიდან უნდა გააჩნდეს 3 ასასვლელი. ასასვლელებში არ უნდა იყოს საფეხურები (დასაშვებია მესამე კართან გააჩნდეს ერთი საფეხური), ავტობუსის გადაადგილების რეჟიმში უნდა ხდებოდეს ყველა კარის ბლოკირება. კარი უნდა იღებოდეს ავტობუსის მხოლოდ გაჩერებულ მდგომარეობაში ყოფნის დროს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, დასაჯდომები უნდა იყოს ანატომიური ტიპის. არ უნდა ჰქონდეს უხეში კიდეები. სკამების ჩარჩოები დამზადებული უნდა იყოს გალვანიზებული ფოლადის ან მსგავსი გამძლე მასალისაგან. დასაჯდომები და საზურგეები დამზადებული უნდა იყოს პლასტმასისგან, მიმაგრებული ჩარჩოზე. დასაჯდომების საფარი დამზადებული უნდა იყოს მასალისგან, რომელიც არის რბილი, ფორმა შენარჩუნებადი, წყალგამძლე, მტვერმედეგი, სითბოს შენარჩუნებადი, დაკაწვრისგან გაძლებადი და გამძლე. დასაჯდომების და გადასაფარებლების დიზაინი და ფერი შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველთან. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბუთი რომ დასაჯდომების მწარმოებელი არის საჯარო ტრანსპორტის დასაჯდომების მწარმოებელი. პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში მტკიცებულება დასაჯდომების ხარისხის შესახებ, თან დაურთოს დეტალური ინფორმაცია დასაჯდომების მახასიათებლებზე.

ავტობუსს უნდა გააჩნდეს მგზავრთა განყოფილების ინტეგრირებული გათბობა, კონდინცირება და ვენტილაცია. მძღოლის კაბინისა და მგზავრების განყოფილების გათბობა, კონდინცირება და ვენტილაცია უნდა ხდებოდეს განცალკევებულად. ავტობუსის კონდინცირება გათვლილი უნდა იყოს თბილისის კლიმატურ პირობებზე (– 15°C – +45°C). მძღოლის კაბინასა და მგზავრთა განყოფილებას უნდა გააჩნდეს სტანდარტული გათბობა სულ მცირე ძრავის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ავტობუსის მთლიან შიდა სივრცეში თბილი ჰაერის თანაბარ გადანაწილებას.

ავტობუსი აღჭურვილი უნდა იყოს ანტივანდალური ვიდეო მონიტორინგის სისტემით, რომლის გამოსახულების გამოტანა უნდა ხდებოდეს მძღოლთან არსებულ დისპლეიზე (მონიტორზე). ერთი კამერა მიმართული უნდა იყოს წინ, გზისკენ, მეორე – მძღოლისკენ, დანარჩენი კამერები უნდა იძლეოდეს ავტობუსის მთლიანი შიდა სივრცის მონიტორინგის შესაძლებლობას.

ავტობუსს უნდა გააჩნდეს გაჩერების დასახელების გამოცხადების ტექნიკური საშუალება, ავტობუსის ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით“, – აღნიშნულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

ბპნ

მამუკა ხაზარაძე: „ანაკლია არ უნდა იყოს მეორე დუბაი“

„საქართველო უნდა გახდეს „კავკასიის შვეიცარია“ და სამეზობლოს ფინანსები მაქსიმალურად მოიზიდოს“

ანაკლიის პორტი, ქალაქი ანაკლია, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები, ურთიერთობა აფხაზებთან, სამეგრელოს განვითარება, სატრანსპორტო პოტენციალი – ამ თემების შესახებ და იმაზე, თუ რა კავშირშია ისინი ღრმაწყლოვან პორტთან, პროექტის დამფუძნებელი ექსკლუზიურად ჟურნალ „ანაკლიას“ ესაუბრება:

– ბატონო მამუკა, ანაკლიის პორტის მშენებლობა უკვე დაწყებულია და დადგა ის ეტაპი, როცა ანაკლიაში მოცემულობა შეიცვალა. დღევანდელი გადასახედიდან პროექტი რომ შევაჯამოთ, რამდენად გამოვიდა ის, რაც დასაწყისში წარმოგედგინათ და რა ძალისხმევა ჩაიდო ამაში?

– ალბათ, შეფასება ყველაზე კარგი მაშინ იქნება, როცა მშენებლობის პირველი ეტაპი დამთავრდება. პირველი ფაზის დამთავრებას 2020 წელს ველოდებით და იმ მომენტში უნდა შევაფასოთ, ჩვენ მიერ ჩადებული უზარმაზარი ენერგია ლოგიკურ წერტილამდე როგორ მივიდა და რაც ჩაფიქრებული გვქონდა, როგორ შესრულდა.

მთლიანობაში, პორტის იდეას, რომელიც უმნიშვნელოვანესი პროექტია ქვეყნისთვის, შევადარებდი გულის ოპერაციას, როცა არტერია დახშულია და შუნტირება კეთდება – დაახლოებით ასეთი ტიპის ოპერაცია უტარდება ახლა ჩვენს ქვეყანას, რომლის სატრანსპორტო დერეფანი ხდება კონკურენტუნარიანი, გამტარუნარიანი და მსოფლიოს სტანდარტის დამაკმაყოფილებელი.

ეს არ არის მხოლოდ ღრმაწყლოვანი პორტი, ეს უზარმაზარი კვანძის შექმნაა და განაცხადი, რომ ჩვენ ვართ შუა წერტილი ევროპასა და აზიას შორის და ეს მხოლოდ ისტორიული მოცემულობა აღარაა. მნიშვნელოვანი განაცხადია, როცა საერთაშორისო ბიზნესს მსოფლიო სტანდარტების ინფრასტრუქტურას სთავაზობ.

ვფიქრობ, ანაკლიის პროექტი საქართველომ ცოტა დაააგვიანა კიდეც. მაგრამ მსოფლიოში და ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენების ფონზე, თუნდაც გზების გადანაწილების თვალსაზრისით, ახლა იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ.

– ანუ ეს განაცხადი, რომ ჩვენ ღირსეული ადგილი გვიჭირავს დღევანდელ საერთაშორისო გადანაწილებაში, უკვე გააკეთა საქართველომ?

– დიახ, და ეს არ არის მხოლოდ პორტი. ის რეფორმები, რაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში გატარდა, ბევრი რთული და წარმატებული, თუნდაც ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებით, ჩვენი ქვეყნის განვითარება – ეს არის განაცხადი. პორტი შეიძლება აააშენო, მაგრამ ქვეყანა არ იყოს დემოკრატიულად განვითარებული, ბიზნესის წარმოება შეუძლებელი იყოს, არსებობდეს რეკეტი, კორუფცია და ა. შ. საბედნიეროდ, ეს შორეულ წარსულში დავტოვეთ. პორტი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, მაგრამ ქვეყანამ შექმნა წარმატების პლატფორმა, სადაც საერთაშორისო ბიზნესის კეთება შეიძლება. ეს დიდ კრიტიკულ მასას ქმნის იმისათვის, რომ კონგლომერატები მოვიწვიოთ.

სწორედ ამიტომ განვავითარეთ ქალაქ ანაკლიის იდეა. როცა მულტინაციონალურ კომპანიებს და ადამიანებს ეუბნები, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოკლე გზა ხარ, მათ უნდა შესთავაზო საოფისე ინფრასტრუქტურის, წარმოების და ადამიანური რესურსის ჩამოყვანის შესაძლებლობა; მათ უნდა მოუნდეთ მუდმივი წარმომადგენლობების გახსნა აქ, სადაც ევროპიდან აზიისკენ ტვირთის გატარება მოხდება. ამიტომ ანაკლია არა მხოლოდ გადაზიდვის, რეგიონში საერთაშორისო კომპანიების ჰაბიც უნდა იყოს. როგორც კი ჩნდება საერთაშორისო ოფისები, იქვე ჩნდება ფინანსური მხარდაჭერა. საქართველო არის უნიკალური ქვეყანა სამეზობლოში, რომლის 2 ბანკიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე მოქმედებს და ორივე „FTSE 250-ის“ მონაწილეა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საბანკო სისტემას ენდობიან და მთელი მსოფლიოს ინვესტორები ჩვენი აქციონერები არიან.

ეს რესურსი გვაქვს და შეგვიძლია, რეგიონისთვის ფინანსური ცენტრი გავხდეთ. ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივაა, სამეზობლო ფინანსები საქართველოში მოვიზიდოთ. დავარქვათ მას „კავკასიის შვეიცარია“, ან ნებისმიერი სხვა რამ, ამის ბაზა დღეს შექმნილია და საქართველოში არსებობენ მოქმედი მოთამაშეები, რომლებიც ამ ამოცანას გაუმკლავდებიან.

– რადგან ანაკლია სითიზე ვსაუბრობთ – ვიცით, რომ ეს იქნება თანამედროვე, ჭკვიანი ქალაქის პრინციპებით აგებული მწვანე ქალაქი, რომელიც, როგორც თქვენ ერთხელ ინტერვიუში განაცხადეთ, იქნება ასევე ქართული პროექტი. როგორ წარმოგიდგენიათ დასავლური, თუნდაც აზიური (არაერთი „სმარტ სითი“ აზიაში ვითარდება) და ქართული გამოცდილებების შერწყმა, ხომ არ არის ეს ძალიან რთული ამოცანა?

– საინტერესო კითხვაა. თბილისი ამის კარგი მაგალითია – საბოლოოდ რა სახითაც ჩამოყალიბდა საუკუნეების განმავლობაში. ვერ იტყვი, რომ ის აზიური ან ევროპულია. რამ გამოიწვია ეს ყველაფერი? ამ კითხვაზე პასუხებს გამოვიყენებთ ანაკლიისთვის. თბილისი არ არის ასიმილაციის მაგალითი, უცხოურიდან საუკეთესო გადმოვიღეთ, მაგრამ ისინი გავაქართულეთ.

ქალაქი ანაკლია არ უნდა იყოს მეორე დუბაი, ის არ უნდა იყოს ქალაქი, რომელსაც ხასიათი არ აქვს. ამის ყველაზე ძლიერი გარანტი, ჩემი აზრით, ხელოვნება, კულტურა და რელიგიაა. აქ პრიორიტეტი უნდა იყოს ჩვენი კულტურა, ენა და საქართველოს მოქალაქის დასაქმება.

ეს იქნება, ასე ვთქვათ, „იძულებითი“ – არ მეშინია ამ სიტყვის. წესები და კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ოფისისთვის კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე დასაქმებისას პრიორიტეტული იქნება.

ჩვენ ანაკლიაში უნდა ვიყოთ მასპინძლები, რისთვისაც ახალგაზრდა ინტელექტუალური ძალა უნდა მივიწვიოთ იქ საცხოვრებლად და სამუშაოდ. ისეთი პლატფორმა უნდა შევქმნათ, რომ ადამიანები დიდი ქალაქებიდან ანაკლიისკენ დაიძრან სამუშაოდ, სადაც იქნება მაღალი ანაზღაურება, ბიზნესის შესაძლებლობები და შანსი, რომ ამ ადამიანებმა ძალიან მნიშვნელოვან ადგილას, ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობა მიიღონ.

– გარდა იმისა, რაც თქვენ ახლა ჩამოთვალეთ, უკვე ჩართული ხართ სხვა ინიციატივებში, რომლებიც პორტის პარალელურად დაიწყო სამეგრელოში. მაგალითად, იპოდრომის განვითარება, ყურძნის ჯიშები სამეგრელოდან, ა.შ. ერთი მხრივ, რეგიონში ეკონომიკურ წინსვლას თავისთავად მოჰყვება სხვადასხვა სფეროს განვითარება. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამ მიმართულებითაც ჩართულიყავით?

– პირველ რიგში, სხვებს უნდა მივცეთ მაგალითი, რომ ეს შესაძლებელია. აღმოჩნდა, რომ 25 წლის განმავლობაში, თითქმის არ დარჩენილა სფერო, რომელშიც მე და ჩემს გუნდს მონაწილეობა და თან, წარმატებული, არ მიგვიღია.

ეს არ არის ჩემი პირდაპირი ბიზნესი. მიმაჩნია, რომ პორტის მშენებლობა ყინულმჭრელია, მის გარშემო კი უნდა გაიშალოს პატარა „გემები“.

– ის საერთაშორისო გამოხმაურება და ინტერესი, რაც პროექტმა აქამდე მიიღო, მეტყველებს თუ არა იმაზე, რომ ანაკლიის პორტი და საქართველო ამ შესაძლებლობით საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი მოთამაშე ხდება? თქვენი სიტყვებია, რომ „ეს არის პროექტი, რომელიც თამაშის წესებს ცვლის“. დაიწყო თუ არა თამაშის წესების შეცვლა?

– თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ უკვე მშენებლობის პროცესში ვართ და თუნდაც ის, რომ პროექტ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ თითქმის ყველა მსხვილი მოთამაშე უკვე ჩვენთან კავშირშია და ბევრ მათგანთან ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, ამაზე მეტყველებს.

სულ რაღაც 2 კვირის წინ ანაკლია საერთაშორისო გადაზიდვების, ჩინეთის რუკებზე გაჩნდა, ვარსკვლავით არის აღნიშნული – რომ მშენებლობის პროცესშია. ამ რუკებზე აქამდე საქართველო არ იყო წარმოდგენილი.

პროექტი ე. წ.BOT-ის პრინციპით კეთდება – 50 წლის შემდეგ პორტი სახელმწიფოს კუთვნილება იქნება. ეს სწორი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რადგან ასეთი სტრატეგიული პროექტი სახელმწიფოსი უნდა იყოს.

ჩვენ აქ ვაშენებთ 100-მილიონიანი სიმძლავრის პორტს, რომელსაც, მინიმუმ, 100 წელი გადაიარაღება აღარ დასჭირდება. დღეს პირველი ფაზის ინვესტირება ხდება, რომლის 30 პროცენტი 9-ვე ფაზას, ხოლო 70 პროცენტი 5 ფაზას მოემსახურება. ეს დიდი განაცხადია. ნებისმიერმა მოთამაშემ უნდა დაინახოს, რომ უახლოესი 25-დან 50 წლამდე მას ბიზნესის პერსპექტივა აქვს.

bfm.ge

საპენსიო სააგენტო სებ-ის ზედამხედველობით იფუნქციონირებს

საპენსიო რეფორმის ფარგლებში შექმნილი საპენსიო სააგენტო სებ-ის ზედამხედველობას დაექვემდებარება.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილება პარლამენტმა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა უკვე მოიწონა.

კომიტეტის თავმჯდომარემ კოლეგებს პირველი მოსმენით წარუდგინა კანონპროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი აკაკი ზოიძემ პრინციპების დონეზე წარმოადგინა და განმარტა, რომ ეს არის თანმდევი კანონპროექტი, რომლის მიღების მიზანია მისი შესაბამისობაში მოყვანა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონპროექტთან.

აღნიშნული კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე განიხილა პარლამენტმა. მომხსენებლის განმარტებით, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ და მისი თანმდევი კანონპროექტების პაკეტის პირველი მოსმენით მიღების დროს არ აღმოჩნდა ამ ორგანული კანონის მისაღებად საკმარისი ხმათა რაოდენობა, ამიტომ თავიდან მოხდა მისი ინიცირება და პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანა“.

აკაკი ზოიძე:

– ამის გარეშე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის მიღების შემთხვევაში გამოვა, რომ ჩვენ მივიღებთ კანონს, შევქმნით საპენსიო სააგენტოს, რომელსაც ზედამხედველი არ ეყოლება. სააგენტოს ზედამხედველი უნდა ჰყავდეს ეროვნული ბანკი და ეს არის დამზღვევი მექანიზმი, რომ მოქალაქეების მიერ დაგროვილი საპენსიო თანხები შესაბამისად იქნება განკარგული.

ამის შემდეგ, კომიტეტმა მხარი დაუჭირა აღნიშნული კანონპროექტის ხელახლა შეტანას მომავალი პლენარული სხდომების დღის წესრიგში.

gbc.ge

GIG გამოთქვამს მზადყოფნას, კომპანია საქნახშირი უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს

ათეულობით მილიონის ინვესტიციის მიუხედავად, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი მზადაა კომპანია „საქნახშირი“ უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს.

უმსხვილეს ინდუსტრიულ ჯგუფში აცხადებენ, რომ დახარჯული მილიონების მიუხედავად, „საქნახშირში“ ვერ მოიძებნა ისეთი საინჟინრო გადაწყვეტა, რომელიც ნახშირის მოპოვებას სრულად უსაფრთხოს გახდიდა.

როგორც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, დღეს 04:50 საათზე ტყიბულში მინდელის სახელობის შახტში მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რომლის შედეგადაც 4 მეშახტე გარდაიცვალა, 6 კი დაშავდა.

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი უბედური შემხვევის გამო და სამძიმარს უცხადებს კომპანია „საქნახშირის“ თანამშრომლებსა და დაღუპული მეშახტეების ოჯახის წევრებს.

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ 2006 წლიდან ათეულობით მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა „საქნახშირში“, აღდგა სრული საწარმოო პროცესი, სრულად შეიცვალა არსებული ინ-

ფრასტრუქტურა, დასაქმდა 1400 მეშახტე, ასევე, ბოლო წლებია კომპანია ყველაფერს აკეთებს უსაფრთხოების სისტემების გასაუმჯობესებლად, სამწუხაროდ, ტყიბულის შახტების სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია „საქნახშირში“ ვერ მოიძებნა ისეთი საინჟინრო გადაწყვეტა, რომელიც ნახშირის მოპოვებას სრულად უსაფრთხოს გახდიდა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი გამოთქვამს მზადყოფნას, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯების მიუხედავად, კომპანია „საქნახშირი“ უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს, – აღნიშნულია კომპანიის საგანგებო განცხადებაში.

კომერსანტ

თხილის ექსპორტი საგრძნობლად შემცირებულია, პარალელურად გაიზარდა კაკალზე მოთხოვნა

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საგარეო ვაჭრობის 2017 წლის სტატისტიკა გამოაქვეყნა, სადაც დასახელებული პროდუქტების ექსპორტ-იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაკლის, თხილის, წაბლის, ფისტას და სხვა ამ კატეგორიის პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის ანალიზს.

გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ ექსპორტზე გატანილი ახალი ან ხმელი თხილის ოდენობა 82.344.7 ათას დოლარს შეადგენს (15.136.9 ტონა). ეს რიცხვი 2016 წელს 179.378.3 ათას დოლარს შეადგენდა (27.108.4 ტონა).

ექსპორტზე გატანილი ახალი ან ხმელი კაკლის ოდენობა 224.4 ათას დოლარს შეადგენდა (31.2 ტონა). რიცხვი წინა წელთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი. 2016 წელს ექსპორტზე 2.0 ათასი დოლარის კაკალი გავიდა (0.4 ტონა).

რიცხვი გაზრდილია ახალი ან ხმელი წაბლი და ფისტას შემთხვევაში, 2017 წელს ეს მონაცემი 609.1 ათას დოლარს შეადგენდა (104.3 ტონას). 2016 წელს ეს რიცხვი 152.0 ათას დოლარი იყო. (42.5 ტონა).

რაც შეეხება იმპორტს, 2017 წელს საქართველოში 7.447,3 ათასი დოლარის ახალი ან ხმელი თხილის იმპორტი განხორციელდა (1.391,1). რიცხვი წინა წელთან შედარებით 2-ჯერაა გაზრდილი. 2016 წელს ეს რიცხვი 3.297,9 ათასი დოლარი იყო (548,9 ტონა). ქვეყანაში 2017 წელს 4.289,7 ათას დოლარის ახალი ან ხმელი კაკლის იმპორტი განხორციელდა (846,1 ტონა).

2017 წელს იმპორტირებული ახალი ან ხმელი ფისტას რაოდენობა 438,6 ათასი დოლარი შეადგინა (772 ტონა), ახალი ან ხმელი ნუშის კი 105,1 ათასი აშშ დოლარი (30,9 ტონა). დანარჩენი ახალი ან ხმელი კაკლის რაოდენობა კი 7,7 ათასი დოლარი იყო (2,5 ტონა).

ბპნ

ქუთაისში ავარიას ერთი პოლიციელი ემსხვერპლა, მეორე კი დაშავდა

ქუთაისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად პოლიციის მე-6 განყოფილების თანამშრომელი გარდაიცვალა, მეორე პოლიციელი დაშავდა და სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. სავარაუდოდ, პოლიციელები სამსახურებრივ უფლებამოსილებას ასრულებდნენ, რა დროსაც მოხდა შეჯახება. ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. მათი ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს.

შემთხვევა საღორიას დასახლებაში მოხდა.

გურამ დონაძე სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნას ყალბს უწოდებს

ბუტა რობაქიძის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული შსს-ს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძე, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნას ყალბს უწოდებს. დაცვის მხარემ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის დაკითხვა, რომელმაც საქმეში მტკიცებულებად დართულ ვიდეოზე ექსპერტიზა ჩაატარა, დღეს დაასრულა.

გურამ დონაძის განმარტებით, ექსპერტმა ასმათ მატუშევსკაიამ ვერ თქვა, რომ ის მონაკვეთი, სადაც დაჭრილი რობაქიძე ჩანს და ასევე პატრულმა იარაღები ამოიღო, დამონტაჟებულია. ამის მიუხედავად დონაძე მიიჩნევს, რომ მატუშევსკაიამ ყალბი დასკვნა მოამზადა, ვინაიდან 10-წუთიან ვიდეოში არავითარი მონტაჟის კვალი არ არსებობს.

– საოცრებების მომსწრენი ვართ, რასაც ვინმე ექსპერტი მატუშევსკაია აფრქვევს. ის თავისივე ყალბ დასკვნაში არის გაჭედილი. ყველაზე შესამჩნევი არის ის, რომ 01:32 წუთამდე წერს მატუშევსკაია, რომ არის წყვეტა და მერე ასევე წერს, რომ შემდეგი წყვეტა ფიქსირდება 03:01 წუთზე. 01:32 წუთიდან 03:01 წუთამდე, სადაც ჩანს დაჭრილი ამირან რობაქიძე, პატრულები ატარებენ ნაპოვნ იარაღებს, ჩანს ერთი დაკავებულის საათი და დრო 02:20 წუთი, ამ მონაკვეთზე, მთავარი გამყალბებელი, მატუშევსკაია ვერ წერს, რომ წყვეტაა. მან ასევე დამაფიქსირა მე, როცა კადრში კუთხეში ვჩანვარ შემთხვევით, როცა უკვე იარაღები ნაპოვნია, პატრული მოსულია, სასწრაფო მოსულია, გარდაცვლილია რობაქიძე და ა.შ. და ამის ფონზე ვერ აფიქსირებს მთავარ მოწმეს, პირს, რომელიც გადასცემს ჩემს მისვლამდე – „რიონი“ გამოუშვით სასწრაფო, შეიარაღებული პირები არიან დაკავებულები, არის დაჭრილი პიროვნებაც“. ეს მონაკვეთი არის უწყვეტ მონაკვეთში. თურმე მე მხედავს შემთხვევიდან მერვე-მეათე წუთზე და მთავარ მოწმეს – ვერა. შემდეგ კი ამბობს, რომ რაც მე მინდოდა, ის აღვბეჭდეო. ეს არის ცალსახად მიკერძოებული. მაქვს ასევე გონივრული ეჭვი, რომ არის მოსყიდული და ექსპერტიზის მთავარი გამყალბებელი. ამ დასკვნას სიცოცხლის ბოლომდე ჩავყვები და არ დავტოვებ გაუშიფრავს, – განაცხადა გურამ დონაძემ.

სუფსაში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაიწვა

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ცეცხლი ელექტროსადენებს გაუჩნდა.

ხანძრის ლიკვიდაციის მიზნით, ადგილზე მუშაობდნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები.

ხელისუფლება დაზარალებულ ოჯახს შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარება.

ქრთამის აღების ფაქტზე შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავა.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს აღმოსავლეთ განყოფილების უფროსი ოფიცერი დააკავეს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომლის ფუნქციებში შედიოდა სატრანსპორტო საშუალებების შეჩერების, მათი ვიზუალური დათვალიერების და საქონლის თანმხლები საბუთების გადამოწმების გზით საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, არაკანონიერი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ერთ-ერთ მოქალაქეს მფარველობას დაჰპირდა. ბრალდებულმა პირს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ქალაქ თბილისის გარკვეულ უბანში, მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, დღე-ღამის რა მონაკვეთში არ ხორციელდებოდა კონტროლი, რაც საშუალებას მისცემდა მას, უპრობლემოდ მოეხდინა საქონლის ტრანსპორტირება შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე.

აღნიშნული დახმარების სანაცვლოდ, ბრალდებულმა მოქალაქეს ქრთამის სახით 500 ლარი გამოართვა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9-წლამდე ვადით, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გლდანში ავარიის შედეგად ქვეითად მოსიარულე დაიღუპა

გლდანში, მსუბუქი ავტომობილის შეჯახების შედეგად ქვეითად მოსიარულე ახალგაზრდა ქალი დაიღუპა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, 30 წლამდე ასაკის ქალი შეჯახების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და შესაბამისი ექსპერტიზებია დანიშნული.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

კოკა კობალაძე: „მინდა, მადლობა გადავუხადო შს მინისტრს, რადგან ჩემს სახლში მომხდარის გამო სამსახურიდან დაითხოვა ოთხი პოლიციელი“

პოლიციელების მიერ ნაცემი კოკა კობალაძე, მის საქმეზე შსს-ს რეაგირებით კმაყოფილია. როგორც კობალაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ოთხი პოლიციელის სამსახურიდან გათავისუფლება მაგალითი იქნება სხვებისთვის, რათა მსგავსი ქმედება არ ჩაიდინონ. კობალაძე ამბობს, რომ მას არ სურს მის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების გამო ყოფილი პოლიციელები სისხლის სამართლის წესით დაისაჯონ.

– მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო შს მინისტრს გიორგი გახარიას. ძალიან კარგია, რომ მან ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო და ჩემს სახლში მომხდარის გამო სამსახურიდან დაითხოვა ოთხი პოლიციელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ჩემს ცემაში და ასევე, რომელთა ორგანიზებული იყო ეს ყველაფერი. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო შსს გენინსპექციის უფროსს, რომელიც პირადად დაინტერესდა ჩემი მდგომარეობით, პირადად მოვიდა ჩემთან სახლში, პირობა დამიდო, რომ ამ ყველაფერს გამოიძიებდა, დამნაშავეებს დასჯიდა და ეს პირობა მან შეასრულა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფრის მაგალითზე, დანარჩენი პოლიციელები მსგავსს არაფერს ჩაიდენენ, რადგან მკაცრად დაისაჯნენ ის პირები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს. მე არ მინდა ამ ადამიანების ციხეში გაშვება ჩემი მოტივით. არც ერთი არ მემეტება ციხისთვის, რადგან ციხეში ადამიანი დანაშაულს ვერ მოინანიებს, – განაცხადა კოკა კობალაძემ.

დაზარალებული ასევე პოლიციელების მხრიდან სამომავლოდ მასზე რაიმე სახის ანგარიშსწორებას გამორიცხავს. როგორც კობალაძე აღნიშნავს, შს მინისტრის ავტორიტეტიდან გამომდინარე, მას არ ჰგონია, რომ ანგარიშსწორების საფრთხე იყოს.

რაც შეეხება კობალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობას, იგი არ გამორიცხავს, რომ მას მკურნალობა საზღვარგარეთ დასჭირდეს.

– ტვინის შერყევა მაქვს, დაზიანებები მაქვს გულ-მკერდის არეში და თვალი მაქვს პარალიზებული. შეიძლება საზღვარგარეთაც დამჭირდეს მკურნალობა, – აღნიშნა კობალაძემ.

შეგახსენებთ, რომ შს მინისტრის გიორგი გახარიას განცხადებით, კოკა კობალაძის საქმეზე პოლიციის 4 თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

– ჩვენი მოთხოვნა მაქსიმალურად არის დაკმაყოფილებული, – ამის შესახებ პრესკონფერენციაზე პოლიციელების მიერ ნაცემი კოკა კობალაძის ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა. კოკა კობალაძე და ალექსანდრე კობაიძე შსს-ს მიერ გადადგმული ნაბიჯით კმაყოფილები არიან.

კოკა კობაიძის თქმით, ისინი მხოლოდ იმ პოლიციელების დასჯას ითხოვდნენ, ვინც კობალაძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ, თუმცა დაისაჯნენ არა მხოლოდ ისინი, არამედ მათი ხელმძღვანელებიც.

– ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემულიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ასე მძიმედ მოექცნენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს და ამხელა დაზიანება, მორალური და ფიზიკური დარტყმა მიაყენეს მას. შს მინისტრმა გადადგა ის ნაბიჯი, რაც, მე ვფიქრობ, ძალიან ღირსეული იყო. ფაქტიურად მან აღიარა, რომ ადამიანები, ვინც კოკასთან იყვნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ, პოლიციის თანამშრომლები იყვნენ და გაათავისუფლა არა მხოლოდ ისინი, ვინც იძალადა მასზე, არამედ გაუშვა სამსახურიდან ხელმძღვანელი პირებიც. უნდა აღინიშნოს შსს-ს გენინსპექციის მოქმედებაც, რომლებმაც დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინეს ამ ფაქტზე. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ სისტემაში აღარ ხდება ხელის დაფარება და სისტემა გამჭვირვალეა, ორიენტირებულია დამნაშავეების დასჯაზე და არ იყვნენ შიგნით ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე ძალადობენ, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

შალვა თადუმაძე: „პროკურატურას ძალიან დაბალი ნდობის ხარისხი აქვს“

– ამ ინსტიტუტს ძალიან დაბალი ნდობის ხარისხი აქვს და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი არის იმაზე მაღალი, ვიდრე ზოგადად, ამ ინსტიტუტს ამ რესურსებით და ამ შესაძლებლობებით შეუძლია, – ამის შესახებ მთავარი პროკურორობის კანდიდატმა, შალვა თადუმაძემ პარლამენტში, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ძირითადი მიმართულება ის არის, რომ დავადგინოთ, რა არის ძირითადი პრობლემა სისტემაში. დღეს ამ პრობლემის სახით აშკარაა, რომ ამ ინსტიტუტს ძალიან დაბალი ნდობის ხარისხი აქვს და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი არის იმაზე მაღალი, ვიდრე ზოგადად, ამ ინსტიტუტს ამ რესურსებით და ამ შესაძლებლობებით შეუძლია. საზოგადოების დაბალი ნდობის ხარისხი არ არის წინა კვირას წარმოქმნილი პრობლემა, ეს პრობლემა ინსტიტუტს აქვს უკვე წლებია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ის თაობა ვართ, ვინც ამ სიტუაციას მოვესწარით – ეს იყო პროკურატურა საბჭოთა საქართველოსი, ეს იყო რეჟიმის პროკურატურა, რომლის მიმართაც განწყობა არ იყო დადებითი. ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ დამოუკიდებელი საქართველოს პროკურატურა და მივიღეთ განუკითხაობის რეჟიმი, რის შემდეგაც ამ პროკურატურას დაერქვა კორუმპირებული პროკურატურა. იქ მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ სტერეოტიპი, რომ პროკურატურა არის კორუმპირებული, ჩამოყალიბდა მაშინ, – განაცხადა შალვა თადუმაძემ.

მისივე თქმით, მაშინ ის საადვოკატო საქმიანობით იყო დაკავებული და კარგად ახსოვს განცდა, თუ როგორ ამრუდებდა სამართალს კორუფცია, რაც პროკურატურის ინსტიტუტზე ისახებოდა.

თადუმაძის თქმით, იყო რეფორმები, გარემონტდა შენობები, აიყვანეს ახალი თანამშრომლები, უარი ითქვა კორუფციაზე, თუმცა ჩამოყალიბდა მოძალადე პროკურატურა.

– ჩვენ ამას ვუყურებდით 9 წელი. მე მახსოვს შიშის განცდა, როცა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს მივყვებოდი პროკურატურაში. ხოლო 2012 წლის შემდეგ ჩვენ მივიღეთ პროკურატურა, აბსოლუტურად გათავისუფლებული ძალადობისგან, მაგრამ ეს იყო ინსტიტუტი, რომელიც მუდმივად პოლიტიკური თავდასხმების ობიექტი იყო. გატარდა რეფორმები, თავადაც ვიყავი ამაში ჩართული, მაგრამ სამწუხაროდ, ნებისმიერი წარუმატებლობა ბრალდებოდა პროკურატურას. თუკი ვინმეს დაიჭერენ, პროკურატურამ დაიჭირა პოლიტიკურად და თუ ვინმეს არ დაიჭერდნენ, ესეც პროკურატურას ბრალდებოდა. დღეს გვაქვს პროკურატურა, რომელიც ამ 27-წლიან პერიოდში არასოდეს არ ყოფილა მაღალი ნდობის ხარისხით და ამ პოლიტიკური თავდასხმების გამო ნდობის ხარისხი ვერ მოიპოვა. ჩემი აზრით, გარკვეული ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს პროკურატურაში და ეს უნდა იყოს სამართლიანი პროკურატურის ჩამოყალიბება. ამაში კი ვგულისხმობ პროკურატურის მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებისას კანონის უზენაესობის დაცვას, შიდა ურთიერთობების სამართლიან დამოკიდებულებას და მოლოდინს, რომელიც საზოგადოებას გააჩნია, ეს არის სამართლიანობის აღდგენა, სამართლიანობის აღდგენის ნაწილში გამოწვევა დიდია, მოლოდინიც დიდია და მემკვიდრეობა არის საკმაოდ მძიმე, – განაცხადა შალვა თადუმაძემ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომას საპარლამენტო ოპოზიცია არ ესწრება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

„მოსკოვსა და ვაშინგტონს საერთო სურვილი აქვთ, ურთიერთობები აღადგინონ“

ჰელსინკში ტრამპი და პუტინი შეხვდნენ ერთმანეთს

გუშინ, 16 ივლისს, ჰელსინკში აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

შეხვედრა ფინეთის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.

შეხვედრის დაწყებამდე პუტინმა აღნიშნა, რომ „დადგა დრო, ორმხრივ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებზე ისაუბრონ“.

თავის მხრივ, ტრამპმა პუტინს მსოფლიოს ჩემპიონატის კარგად ჩატარება მიულოცა.

– მინდა მოგილოცოთ მსოფლიოს ჩემპიონატის კარგად ჩატარება. ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ჩვენ დღეს ძალიან ბევრი საკითხი უნდა განვიხილოთ. ჩვენს ქვეყნებს დიდი შესაძლებლობები აქვთ, ურთიერთობები დაალაგონ. როგორც ვამბობდი, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება კარგი რამეა, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

ტრამპისა და პუტინის პირისპირ შეხვედრა დაგეგმილი 1,5 საათის ნაცვლად 2 საათისა და 10 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მისი დასრულების შემდეგ შეხვედრა გაფართოებულ შემადგენლობაში გაგრძელდა, რომლის შემდეგაც პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

– აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან მოლაპარაკებებმა საქმიან და გულწრფელ გარემოში ჩაიარა, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა პრესკონფერენციაზე.

– რუსეთი და აშშ საერთო გამოწვევებსა და რისკებს უპირისპირდებიან. საჭიროა ჩვენი ძალისხმევის გაერთიანება. მოსკოვსა და ვაშინგტონს საერთო სურვილი აქვთ, ურთიერთობები აღადგინონ, – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაჯანსაღებისკენ მიმართული ნაბიჯების დაგეგმვას.

ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ უარყო 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევა რუსეთის მხრიდან.

– რუსეთის სახელმწიფო არ ჩარეულა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში და მზად არის, კიბერუსაფრთხოების ერთობლივი ჯგუფების ფარგლებში იმუშაოს, – აღნიშნა მან.

უკრაინაში განვითარებულ სიტუაციასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „მნიშვნელოვანია მინსკის შეთანხმებების შესრულება“.

თავის მხრივ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ დიალოგი ვლადიმერ პუტინთან პროდუქტიული იყო.

– დიპლომატია და ურთიერთქმედება უკეთესია, ვიდრე კონფლიქტი და დაპირისპირება, ხოლო მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დიალოგი მსოფლიოს ინტერესებს პასუხობს. ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის არასოდეს ყოფილა ამაზე უარესი, თუმცა სიტუაცია სამიტის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ მომავალში რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრები უფრო ხშირად გაიმართება.

აზერბაიჯანში რადიკალური რელიგიური ჯგუფების წევრები დააკავეს

აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაითში რადიკალური რელიგიური ჯგუფების 18 წარმომადგენელი დააკავეს. გამოძიების ვერსიით, დაკავებულები სუმგაითში არასანქცირებული საპროტეს-

ტო აქციის გამართვას და არეულობის მოწყობას გეგმავდნენ.

მათი დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება აქტივისტების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მოხდა.

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში გამართული მასობრივი საპროტესტო აქციები არეულობებში გადაიზარდა. აქციების მონაწილეები რუსეთის მოქალაქე იუნის საფაროვს უჭერდნენ მხარს, რომელიც განჯას მერზე თავდასხმაშია ბრალდებული. დემონსტრანტებისა და პოლიციელების შეტაკებებს ორი სამართალდამცავი ემსხვერპლა.

პაკისტანში ავტოსაგზაო შემთხვევას 17 ადამიანი ემსხვერპლა

პაკისტანში სატვირთო ავტომობილი ავტობუსს დაეჯახა, რომლითაც ადამიანები ქორწილში მიემგზავრებოდნენ. ავარიის შედეგად სულ მცირე

17 ადამიანი დაიღუპა, კიდევ 13 დაშავდა.

ინციდენტი გუშინ, 16 ივლისს, დილით სინდის პროვინციაში, მატიარის ოლქში მოხდა.

გაუმართაობის გამო ავტობუსი გზის პირას იდგა, როდესაც მას უკნიდან სატვირთო ავტომობილი შეეჯახა.

პოროშენკო დუდას წინააღმდეგ: „უკრაინას შანტაჟის ენით არ ელაპარაკებიან!“

პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ უკრაინაში ბანდერელთა ჰეროიზაციის გამო გაოცება გამოთქვა. დუდას აზრით, 1942-43 წლებში ვოლინზე დატრიალებული ტრაგედია ბანდერელების მიერ იყო ორგანიზებული. ეთნოწმენდა იყო, როცა ვოლინიდან პოლონური მოსახლეობა გააძევეს. დუდამ საკითხი კატეგორიულად დასვა:

– ან უკრაინა ბანდერელთა დეჰეროიზაციას მოახდენს, ან ნატოსა და ევროკავშირზე ოცნებას თავი უნდა დაანებოს!

ასეთმა განცხადებამ უკრაინელთა აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტმა პოროშენკომ თავის პოლონელ კოლეგას ზრდილობის წესების დაცვისაკენ მოუწოდა:

– უკრაინას შანტაჟისა და დიქტატის ენით არ ელაპარაკებიან! – განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა უნამუსობა უწოდა უნგრეთის პრემიერ ორბანის ბრალდებას იმის თაობაზე, რომ იმიერკარპატისპირეთში უნგრულ უმცირესობას ჩაგრავენ.

– ვენეციის კომისიის დასკვნა ცალსახაა. ეროვნული უმცირესობის არავითარი ჩაგვრა იქ არ მიმდინარეობს, – ამბობს პოროშენკო.

დუდას განცხადებას მან პუტინური პროპაგანდის გავლენა უწოდა.

– უახლოესი 3-5 წლის განმავლობაში უკრაინა ნატოსა და ევროკავშირის წევრი აუცილებლად გახდება! ის ქვეყნები კი, რომლებიც შეეცდებიან, ხელი შეგვიშალონ, იზოლაციაში აღმოჩნდებიან, – ამბობს პოროშენკო.

ტერეზა მეი: „ტრამპმა მირჩია, ევროკავშირს ვუჩივლო“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მას ურჩია, ბრექსიტის საკითხზე ევროკავშირთან არა მოლაპარაკებები აწარმოოს, არამედ ევროკავშირს უჩივლოს.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გადაცემა „ენდრიუ მარას შოუში“ განაცხადა.

გადაცემის წამყვანმა ენდრიუ მარამ ტერეზა მეის ჰკითხა, რას გულისხმობდა აშშ-ის პრეზიდენტი, როდესაც ერთობლივ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ბრექსიტის საკითხთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს „უხეში შეთავაზებით“ მიმართა.

– მან მითხრა, რომ მე ევროკავშირს სასამართლოში უნდა ვუჩივლო და არა მოლაპარაკებები ვაწარმოო მათთან, – განაცხადა ტერეზა მეიმ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ შეთავაზებისა, ის ევროკავშირთან დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს და სასამართლოში ჩივილს არ აპირებს.

ესპანელები გენერალ ფრანკოს იცავენ

ესპანეთის სოციალისტური მთავრობა გენერალ ფრანკოს საფლავის გადატანას აპირებს. სოციალისტები ფრანკოს დიქტატორად თვლიან. საზოგადოების ნაწილი ამას არ ეთანხმება.

გენერალი ფრანკო ესპანელთა უმრავლესობის თვალში სამშობლოს მხსნელია. მან კომუნისტების ამბოხის ჩახშობაც შეძლო, მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის დიქტატსაც გაუძლო და ესპანეთი ომში არ ჩააბა. ომის შემდეგ სწორედ ფრანკოს მეთაურობით გატარდა რეფორმები, რამაც ახალი დემოკრატიული ესპანეთის შექმნა განაპირობა.

ფრანკოს დასაცავად მადრიდში ათასობით ადამიანი გამოვიდა.

– არ დავუშვებთ, რომ ფრანკოს საფლავს ხელი ახლონ! – სკანდირებდნენ ისინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქართული კლუბები საპასუხო მატჩებისთვის ემზადებიან

ქართულ გუნდებს ევროტურნირებზე საპასუხო მატჩების ჩატარება უწევთ. საქართველოს ჩემპიონი, ქუთაისის ტორპედო ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის განმეორებითი მატჩისთვის ემზადება. ქუთაისური გუნდი მოლდოვის ქალაქ ტირასპოლში 2 დღეა ჩაფრინდა და რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მოასწრო.

პირველ დღეს გუნდმა არასრული შემადგენლობით ივარჯიშა – საწვრთნელ პროცესში მოგვიანებით შეუერთდა გუნდს სენეგალელი არფანგ დაფე. ეს კარგი ინფორმაციაა, რადგან ამავე პოზიციაზე მოთამაშე გამოცდილი გრიგოლ დოლიძე ტრავმირებულია და ქუთაისში დარჩა.

განმეორებითი მატჩი საქართველოსა და მოლდოვის ჩემპიონებს შორის 18 ივლისს, თბილისის დროით 21:00 საათზე გაიმართება.

მშვენიერი საჩუქარი მიიღო განმეორებითი შეხვედრის წინ თბილისის დინამომ. დედაქალაქელთა მეტოქის, სლოვაკური დუნაისკა სტრედას მთავარი მწვრთნელი მარკო როსი უნგრეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ხოლო მის ნაცვლად პეტერ ჰიბალა იმუშავებს, რომელიც უკვე წარადგინა კლუბმა.

ეს ამბავი კარგი იმ კუთხით არის, რომ, სანამ ახალი მწვრთნელი თავის იდეებს გაატარებს და დაალაგებს, დრო უნდა.

სტრედა, ფაქტობრივად, თბილისში უმწვრთნელოდ ჩამოდის. სლოვაკები საქართველოს ხვალ ეწვევიან, მატჩი კი, 19 ივლისს გაიმართება.

ხვალვე ჩავლენ იერუსალიმსა და კუშტანაიში საჩხერის ჩიხურა და სამტრედია, რომელთა მატჩებიც ასევე 19 ივლისს გაიმართება. იმერულ კლუბებსა და მეტოქეთა ბანაკში სიახლეები არაფერია.

16 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ერთადერთია ასაკობრივ გუნდებში, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ა დივიზიონში, ანუ კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდში თამაშობს.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ნაკრებმა მოსამზადებელ პერიოდში მოიგეს და საბოლოო, საამაყო გამარჯვებაც გაიფორმეს – 64:61.

საუკეთესო გახდა ალექსი მერკვილაძე, რომელმაც 15 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა. 12-12 ქულა ნიკოლოზ გაფრინდაშვილისა და ირაკლი კილაძის ანგარიშზე დაგროვდა.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობა დაასრულა. ტურნირის გამარჯვებული 3 მოგებით საბერძნეთის ნაკრები გახდა, ხოლო ჩვენებმა, თურქებმა და ესტონელებმა თითო მოგებით დაიმშვიდეს თავი.

ჩვენების პირველი მეტოქე სწორედ საბერძნეთი გახლდათ, რომელთანაც ქართველებმა იბრძოლეს, მაგრამ ბოლო წუთებზე – 79:85 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებმა მეორე და მეოთხე პერიოდები მოიგო, თუმცა ბერძნებმა პირველი და მესამე მეოთხედებში უფრო დამაჯერებლად იმარჯვეს და საბოლოოდ, 6-ქულიანი გამარჯვებაც მათ დარჩათ. ჩვენმა ნაკრებმა მეტოქე შორ სროლებში აშკარად დაჯაბნა: ქართველებმა 30 ცდიდან 11 სამქულიანი ჩააგდეს, ბერძნებმა კი 26-დან მხოლოდ – 5. სამაგიეროდ ელადელებმა ორქულიან სროლებში გვაჯობეს და ქართველებზე 11 ბურთით მეტი ჩააგდეს.

საქართველოს ნაკრებში 22-22 ქულით ალექსი მერკვილაძე და ირაკლი კილაძე გამოირჩნენ.

მეორე მატჩში ჩვენებმა თურქეთს დაძაბულ ბრძოლაში – 64:61 მოუგეს. ეს გამარჯვება ორმაგად დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ თითქმის უიმედო სიტუაციაში ჩავარდნილებმა, ვითარების გამოსწორება, შეხვედრის შემობრუნება და გამარჯვების მოპოვება მოახერხეს. მართალია, მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ქართველები 30:25 იგებდნენ, თუმცა კაზანჯიანის გუნდმა მე-3 ათწუთეული ჩააგდო, ძალიან წარუმატებლად ითამაშა და 4:29 წაგებული პერიოდის შემდეგ 20 ქულით ჩამორჩა. საქართველოს ნაკრებმა ეს წარუმატებლობა არაფრად ჩააგდო. დასკვნითი მეოთხედი ქართველებმა 30:7 ბოლო მეტოქე ესტონეთის ნაკრები გახლდათ, რომელთანაც ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზეც მოგვიწევს თამაში.

შეხვედრის პირველი პერიოდი ქართველებმა 12:9 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის 34:23 ვიგებდით. მეორე ნახევარში ესტონელებმა თამაში გამოასწორეს და მესამე ათწუთეულის 18:9 მოგებით ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს. მატჩის ბედი ბოლო პერიოდში ესტონელათ სასარგებლოდ გადაწყდა. ბალტიისპირელებმა საბოლოოდ 62:51 გაიმარჯვეს.

ამ მატჩში მერკვილაძემ 24 ქულა და 14 ქულა დააგროვა, ხოლო კილაძე 12 ქულით გამოირჩა.

საქართველოს ნაკრები სამშობლოში დაბრუნდება და მზადებას განაგრძობს. კაზანჯიანის გუნდი 23 ივლისს გეზს ლატვიისკენ აიღებს, სადაც ამ ქვეყნის ნაკრებთან 3 საკონტროლო მატჩს გამართავს. ლატვიიდან კაზანჯიანის გუნდი კიევში გადაინაცვლებს და უკრაინის ნაკრებთან 30-31 ივლისს 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს. 2 მოსამზადებელი მატჩია დაგეგმილი 1 და 3 აგვისტოს მინსკშიც, ბელარუსის 16-წლამდელთა ნაკრებთან, რითაც ჩვენი გუნდი დაასრულებს მოსამზადებელ ეტაპს.

ევროპის ჩემპიონატის ა დივიზიონი კი, სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გაიმართება, სადაც კონტინენტის საუკეთესო 16 ნაკრები მოიყრის თავს. საქართველო ჯგუფში საფრანგეთთან, ესტონეთთან და იტალიასთან მოხვდა. ჯგუფიდან ოთხივე მონაწილე გადის და მერვედფინალში ჯვარედინი სისტემით წყვილდება. ტურნირის ბოლო 3 ადგილზე გასული გუნდები ბ დივიზიონში დაქვეითდებიან. საქართველოს ნაკრების მიზანი ა დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იქნება.

ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელები დააჯილდოვა

სანამ საფრანგეთის ნაკრებს დამსახურებულ თასს გადასცემდნენ, ფიფას ტექნიკური ანალიზის ჯგუფმა რამდენიმე ნომინაციაში პრიზები გაანაწილა.

ადიდასის ოქროს ბურთი – ლუკა მოდრიჩი

ცოტა საკამათო გადაწყვეტილება. თუმცა, გადაწყვეტილება მიღებულია. ის რომ ხორვატია გავიდა ფინალში, მოდრიჩის დიდი დამსახურებაც არის. 2 გატანილი გოლი და ერთი საგოლე პასი ის მცირე ნაწილია იმ სამუშაოსი, რომელმაც ლუკამ მოედანზე გაწია. ტანმორჩილ ხორვატს მიჰყავდა მისი გუნდის შეტევების ორგანიზება, მატჩის მიმდინარეობა სხვადასხვა სიჩქარეზე გადაჰყავდა, მოედნის კარგი ხედვის შეტევის სწორი მიმართულების მიცემა ახასიათებდა.

ლუკა მოდრიჩი:

– ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მივიღე. გამამხიარულა? საერთოდ არა! დავმარცხდით, ყველა მოგება მსურდა ხორვატიისთვის მიმეძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს გუნდს უბრალოდ არ გაუმართლა. კარგად ვთამაშობდით ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრების წინააღმდეგ, მაგრამ ვიტყვი, რომ საუკეთესოები ყოველთვის ვერ იმარჯვებენ, რაც ახლაც დადასტურდა. დანიშნულმა პენალტმა მატჩზე დიდი გავლენა მოახდინა, ხორვატი ფეხბურთელები მსაჯის მუშაობამ გააკვირვა, როცა მან ვიდეოგამეორების სისტემას მიმართა. პირველი გოლი საჯარიმო დარტყმიდან გავუშვით, რომელიც საერთოდ არ იყო ჯარიმა, მეორედ კი აბსურდული პენალტი დადო. პირველი გოლის შემდეგ დავბრუნდით თამაშში, მაგრამ თერთმეტმეტრიანმა თამაში მოკლა, ძნელია ყოველთვის დაბრუნდე საქმეში.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი – კილიან მბაპე

თავის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე მბაპე თამაშიდან თამაშამდე უმატებდა. 19 წლის ფეხბურთელმა გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა დიდი სისწრაფითა და არასტანდარტული გადაწყვეტილებებით. არგენტინის ნაკრებთან მერვედფინალში გატანილი 2 გოლით, მეორე ადგილზე დადგა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის, რომელმაც დუბლი შეასრულა მუნდიალების ფლეიოფში. პირველზე პელეა, ვინაც იგივე 17 წლის ასაკში გაახერხა.

კილიან მბაპე:

– საფრანგეთისთვის ეს ახალი ისტორიაა. ჯგუფური ეტაპის პირველივე მატჩიდან ვფიქრობდით, რომ ტურნირის მოგება შეგვეძლო. რა გრძნობაა ფინალში გოლის გატანა? მთელი ცხოვრებაა ამისთვის ვმუშაობ და ბედნიერი ვარ, რომ გამომივიდა. ჩემს ასაკში მსოფლიო ჩემპიონობა – ეს დაუჯერებელია, თუმცა ეს ჩემთვის დასაწყისია და მუშაობა ამავე სულისკვეთებით უნდა გავაგრძელო. ძალიან ბედნიერი ვარ, გზა დიდი იყო, მაგრამ ღირდა ლოდინად. ამაყი ვარ, რომ ფრანგი ხალხი გავახარეთ. ამ გამარჯვებით ბევრს პრობლემებს დავავიწყებთ.

ადიდასის ოქროს ხელთათმანი – ტიბო კურტუა

ბელგიის ნაკრებისთვის ისტორიული შედეგი არა მარტო ლაღი შეტევებით იქნა მიღწეული, არამედ ტიბო კურტუას შესანიშნავი თამაშით. თითქმის ყველა მატჩში გადაარჩინა ბელგიის ნაკრები უსიამოვნებებს. ნახევარფინალში ერთადერთ დარტყმას ვერ გაუმკლავდა ფრანგებთან, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში მისი წვლილი დიდია.

ადიდასის ვერცხლის ბურთი – ედენ აზარი

ბელგიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე მეტი, 16 გოლი გაიტანა და ამაში ედენ აზარის დამსახურება გამორჩეულია. „წითელი ეშმაკების“ დაუღლელმა და შეუჩერებელმა 10-იანმა ააწიოკა ყველა გუნდის დაცვა. მის პირად ანგარიშზე 3 გოლი და 2 საგოლე პასია. თავის ისტორიულ შედეგში ბელგია მის წინაშე „ვალშია“.

ადიდასის ბრინჯაოს ბურთი და ვერცხლის ბუცი – ანტუან გრიზმანი

მადრიდის ატლეტიკოს ფეხბურთელმა სრულად დაამტკიცა, რომ ნაკრების ლიდერია. გუნდის 7 გოლში მიიღო მონაწილეობა – 4 გაიტანა, 3 სხვებს გაატანინა. 1958 წელს ჟიუსტ ფონტენის მიერ 13 გატანილი გოლის შემდეგ ეს საუკეთესო მაჩვენებელია საფრანგეთის ნაკრებში.

ადიდასის ბრინჯაოს ბუცი – რომელუ ლუკაკუ

ბელგიელმა შესანიშნავად დაიწყო ტურნირი, ჯერ პანამას გაუტანა 2 გოლი, შემდეგ – ტუნიის. ინგლისთან მატჩი გამოტოვა, ფლეი ოფის სტადიაზე კი თავი ვერაფრით გამოიჩინა. თუმცა, 4 გოლი ბრინჯაოს ბუცისთვის ეყო.

ადიდასის ოქროს ბუცი – ჰარი კეინი

6 გატანილი გოლი. მართალია, აქედან 3 პენალტით, მაგრამ კეინმა დაამტკიცა, რომ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

სამართლიანი თამაში – ესპანეთის ნაკრები

ესპანეთი რუსეთში სტუმრობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, რადგან საჩემპიონო მარათონს მერვედფინალში რუსეთთან მარცხით ჩამოშორდა. თუმცა, მორალური კომპენსაცია ნახა და სამართლიანი თამაშის პრიზი ერგო – „ფურია როხა“ მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ 34-ჯერ დაჯარიმდა და 2 ყვითელი ბარათი მიიღო. პრინციპში, როდის უნდა დაჯარიმებულიყო, სულ თავად ჰქონდა ბურთი და უაზროდ აგორებდა.

თედო აბჟანდაძე: „ყველაფერს გავაკეთებ ნაკრებში თავის დასამკვიდრებლად“

მოგეხსენებათ, საქართველოს 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა, საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ისტორიული შედეგი დაიფიქსირა. ილია მაისურაძის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირზე 3 შეხვედრა მოიგო. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ 6 ერის 2 წარმომადგენლის – შოტლანდიისა და ირლანდიის ძლევასთან ერთად, იაპონელებიც დაამარცხეს და ისტორიაში პირველად, მსოფლიო ჩემპიონატზე მე-9 ადგილი დაიკავეს. ასევე, საქართველოს ნაკრები გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ქვედა დივიზიონიდან გადასვლის შემდეგ, ზედიზედ სამჯერ შეძლო ელიტაში ადგილის შენარჩუნება.

ამ გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მორაგბე, საქართველოს ნაკრებისა და ქუთაისის აიას მგეზავი, თედო აბჟანდაძე გახლდათ, რომელმაც აღნიშნულ ტურნირზე საქართველოს ნაკრებს 15 ქულა შესძინა (1 ლელო, 5 გარდასახვა) და მთელი ტურნირის განმავლობაში, როგორც დაცვაში, ისე შეტევაში გუნდს კარგად გეზავდა. აბჟანდაძისთვის ეს მეორე მსოფლიო ჩემპიონატი იყო ამ ასაკში და გაისად, მესამედაც შეეძლება თამაში.

– მსოფლიო ჩემპიონატზე 20-წლამდელთა ნაკრებმა ისტორიული შედეგი დააფიქსირა და შეძლო 3 მატჩის მოგება. როგორ შეაფასებ ტურნირს?

– თავიდანვე, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება დავიწყეთ, მიზნად გვქონდა, ტურნირზე მინიმუმ 2 შეხვედრა მოგვეგო და წინა წლებში ნაჩვენები შედეგები გაგვეუმჯობესებინა. საბედნიეროდ, ეს გამოგვივიდა. 3 მატჩი მოვიგეთ და მოგებაწაგების თვალსაზრისით, დადებითი ბალანსით დავასრულეთ ტურნირი. ასე რომ, ძალიან წარმატებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ნაკრების გამოსვლა და ამაყები ვართ მიღწეული შედეგით.

– ჩემპიონატის დაწყების წინ, აქცენტის გაკეთება, ალბათ, მეოთხე-მეხუთე საფლეიოფო მატჩებზე იგეგმებოდა. რის შემდეგ გადაწყვიტა სამწვრთნელო შტაბმა, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი ირლანდიასთან დიდი ძალებით გვეთამაშა, რადგან გადამწყვეტი მატჩებისთვის გუნდის გადაღლილობის შანსიც იყო?

– თავიდანვე იგეგმებოდა, რომ ჩვენი სათამაშო მეოთხე მატჩი ყოფილიყო და მზადების პროცესიც ისე მიდიოდა, რომ მეოთხე შეხვედრისთვის საუკეთესო ფორმაში ვყოფილიყავით. თუმცა, პირველ ტურში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ აღებულმა პრემიალურმა ქულამ და დანარჩენ ჯგუფებში მესამეადგილსნების დაკარგულმა ქულებმა გაგვიჩინა რეალური შანსი, ირლანდიასთან მოგების შემთხვევაში, მეხუთე-მერვე ადგილებისთვის გვებრძოლა. შესაბამისად, ირლანდიასთან მოსაგებად გავედით მოედანზე და შედეგიც დაიდო, მაგრამ არგენტინამ იტალიასთან მარცხის მიუხედავად, 2 პრემიალური ქულა აიღო და ჩვენ ისევ ქვედა ზონაში მოვხვდით.

– ტურნირზე საქართველოს ნაკრებს უფრო მეტის პოტენციალი ჰქონდა?

– ჩემი აზრით, ცოტა რომ გაგვმართლებოდა და ირლანდიასთან გამარჯვების შემდეგ, მეხუთე-მერვე ადგილების ზონაში მოვხვედრილიყავით, იქაც შეგვეძლო მინიმუმ ერთი თამაშის მოგება, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არ იყო დამოკიდებული.

– იაპონიასთან შეხვედრისას, თავიდან ძალიან გაგვიჭირდა და ბევრი შეცდომაც დავუშვით. თავად იაპონელებსაც მეტი ყურადღებით რომ ეთამაშათ, შესაძლოა, მატჩი რადიკა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

15 ივლისი

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

ფინალი

საფრანგეთი-ხორვატია 4:2

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ესბიერგი 1:1

ვენიუსელი-ოდენსე 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-დიურგარდენი 0:1

ნორჩიოპინგი-ჰაკენი 2:1

სუნდსვალდი-აიკი 0:1

ჩოგბურთი

უიმბლდონი

ჯაჯები

ფინალი

ანდერსონი-ჯოკოვიჩი 2:6, 2:6,6:7

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

თედო აბჟანდაძე: „ყველაფერს გავაკეთებ ნაკრებში თავის დასამკვიდრებლად“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლურად განსხვავებული ანგარიშითაც დასრულებულიყო. რას უნდა დავაბრალოთ, რიგ ეპიზოდებში ჩვენი ნაკრების არასტაბილური თამაში?

– ირლანდიასთან გამარჯვების შემდეგ, ბიჭები უკვე ფსიქოლოგიურად განწყობილნი ვიყავით, რომ იაპონიასთან შედარებით იოლ გამარჯვებას მოვიპოვებდით და საწყის წუთებში, მეტოქის დაუფასებლობის გამო, დავისაჯეთ კიდეც.

– ბოლო წუთებში იაპონია ძალიან დავჩაგრეთ და საოცარი მატჩის შემოტრიალებაც შევძელით. როგორ ფიქრობთ, იაპონელებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვების, თუ ჩვენს წნეხს ვეღარ გაუძლეს?

– ბოლო წუთებში, როდესაც წაგების საფრთხე შეგვექმნა, ძალიან მოვინდომეთ და სათამაშო ტემპს ვუმატეთ. რაქიდან ბურთი სწრაფად გამოდიოდა, რის შედეგადაც, მეტოქე დაცვაში გადაწყობას ვეღარ ასწრებდა და საბოლოოდ, ამ მატჩის მოგებაც შევძელით.

– მიმდინარე ტურნირზე ყველა შეხვედრა სრულად ჩაატარე და ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული წევრიც იყავი. თავად როგორ შეაფასებ საკუთარ თამაშს?

– 18 დღეში 5 მატჩის ჩატარება, მით უფრო, ასეთ მაღალ ტემპში, ძალიან რთულია. შოტლანდიასთან თამაშამდე, მოთელვაზე ისე დაღლილი ვიყავი, მეგონა ვერ შევძლებდი ჩემი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენას, მაგრამ ბიჭებმა გავამხნევეთ ერთმანეთი, რომ ბოლო მატჩი იყო, შანსი გვქონდა ტურნირი დადებითი ბალანსით დაგვემთავრებინა და ყველაფერს გავაკეთებდით ამ შეხვედრაში წარმატების მისაღწევად. რაც შეეხება ჩემს თამაშს. თამაშიდან თამაშამდე ვცდილობდი მომატებას და ყველა თამაშში მინიმუმ ერთი გამორჩეული მომენტი მქონდა.

– ეს ტურნირი ახალგაზრდა მორაგბეებისთვის ერთგვარ ტრამპლინს წარმოადგენს. რომელიმე კლუბი ხომ არ არის თქვენით დაინტერესებული?

– იაპონიასთან მატჩის შემდეგ, საფრანგეთის ტოპ 14-ის კლუბი პერპინიანი იყო ჩემი გადაბირებით დაინტერესებული, მაგრამ კონტრაქტის პირობებით, ბოლომდე კმაყოფილი არ დავრჩი და მინიმუმ ერთი წლით კვლავ ქუთაისის აიაში გავაგრძელებ კარიერას.

– უკვე წლებია, შერკინება ქართული რაგბის ავანგარდად მიიჩნევა. მაგრამ, აღსანიშნავია, ტურნირზე ხაზის მოთამაშეები უფრო იყვნენ დატვირთულნი, ვიდრე შერკინება. ეს სამწვრთნელო შტაბის დავალება იყო?

– კი, მწვრთნელების დავალება იყო, რომ დაბალანსებული ყოფილიყო თამაში ხაზსა და შერკინებას შორის, რადგან როდესაც ხაზზე ვათამაშებდით ბურთს და სისწრაფეებს ვუმატებდით, მაშინვე ვქმნიდით უპირატესობას.

– 5 მატჩიდან 4-ში გვყავდა გასინჯინებული მოთამაშეები. ეს იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ ნაკრებში სათამაშო დისციპლინის მხრივ, პრობლემა იყო?

– ამას მე უფრო განსაკუთრებულ მონდომებას და მოტივაციას დავაბრალებდი. როდესაც მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გადიხარ, რთულია კონტაქტის ან ბოჭვის დროს, თავი გააკონტროლო. თან მოგეხსენებათ, თანამედროვე რაგბიში ძალიან გამკაცრებულია მაღალ ბოჭვაზე ჯარიმები.

– საინტერესოა, უცხოელების მხრიდან როგორი გამოხმაურება მოჰყვა ირლანდიასთან და შოტლანდიასთან გამარჯვებას, რადგან ბევრისთვის ეს მოულოდნელი იყო?

– ყველასთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო საქართველოს ნაკრების ასეთი წარმატებული გამოსვლა და ყველა აღნიშნავდა, რომ საქართველო ტურნირის აღმოჩენა იყო. მსოფლიო რაგბიმაც გამოაქვეყნა სურათი, სადაც გამოსახული იყო საქართველოს დროშა, გადახაზული იყო იაპონია, შოტლანდია, ირლანდია და ეწერა – ვინ იქნება შემდეგი.

– და ბოლოს, როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა, ერთ წელში ფიზიკურად ისე მოემზადო, რომ მილტონ ჰეიგმა ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე წაგიყვანოს?

– ნებისმიერი სპორტსმენის ოცნებაა, საკუთარი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშოს და განსაკუთრებით, მსოფლიო ჩემპიონატზე დაიცვას ქვეყნის ღირსება. ეს უკვე მწვრთნელების გადასაწყვეტია. მე კი თუ მომეცემა შანსი, ყველაფერს გავაკეთებ, ნაკრებში თავის დასამკვიდრებლად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მოდელს ზვიგენთან ცურვა კინაღამ ხელის დაკარგვად დაუჯდა

ულვაშა ზვიგენმა ძიძამ დამწყები მოდელი დაკბინა, რომელმაც მტაცებელი თევზების

გვერდით ცურვა გადაწყვიტა.

ინციდენტი ბაჰამის კუნძულებზე მოხდა, სადაც ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლაგუნა-ბიჩის მცხოვრები 19 წლის კატარინა ზარუცკი თავის ბოიფრენდთან და მის ოჯახთან ერთად ისვენებდა. ადგილობრივებმა უთხრეს, რომ ძიძა-ზვიგენების გვერდით ცურვა მხიარული და უსაფრთხო საქმე იყო. ამის შემდეგ გოგონამ წყალში ჩასვლა გადაწყვიტა.

– ჩემი ბოიფრენდის ნათესავები გაგიჟდნენ, როდესაც ზვიგენებთან ერთად წყალში საცურაოდ ჩავედი, მე კი ასეთი ვარ: „ყველაფერი ნორმალურადაა“, – განაცხადა ზარუცკიმ.

მოდელის მოლოდინის საწინააღმდეგოდ მეტრნახევრიანმა ზვიგენმა მასზე თავდასხმა მაინც გადაწყვიტა.

– ჩემი ხელი მტევანი მის ხახაში აღმოჩნდა და ვგრძნობდი, როგორ მაფრინდებოდა ხელში მისი კბილები, – იხსენებს გოგონა, – მან რამდენიმე წამით წყლის სიღრმისკენ წამიღო.

ბოიფრენდის მამა ზვიგენის თავდასხმას უსაფრთხო მანძილიდან იღებდა. ზარუცკიმ ხელის გათავისუფლება მოახერხა და ნაპირისკენ გაცურა. ხელის მტევანი მას წყლის ზევით ეჭირა, რათა სისხლს სხვა ზვიგენები არ მიეზიდა. გოგონას საავადმყოფოში ჭრილობა შეუხვიეს, მაგრამ მან გადაწყვიტა, არ გაერისკა და მეორე დღესვე ფლორიდაში გაფრინდა, რათა მკურნალობა იქ გაეგრძელებინა.

– ექიმები ფიქრობენ, რომ ჭრილობაში ჯერ კიდევ არის ზვიგენის კბილების ფრაგმენტები დარჩენილი, ხოლო ხელზე ნაიარევი დამრჩება, – აცხადებს მოდელი, – თუმცა მაინც გამიმართლა, რომ ცოცხალიც დავრჩი და ხელიც ადგილზეა.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

ჩინელი ქალი გველის შხამიანი ღვინის გამო კომაში ჩავარდა

ჩინელმა ქალმა ინტერნეტით იყიდა გველი და მისი კბენის შემდეგ კომაში ჩავარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ შენსის პროვინციის ქალაქ ვეინანში მოხდა. 21 წლის ჩინელმა, სახელად სიაოფანმა, სამხრეთჩინური მრავალზოლიანი კრაიტი შეიძინა, რომლის შხამიც ძალიან საშიშია ადამიანისთვის.

გოგონას მშობლების თქმით, გველმა მას თითზე უკბინა. ერთი საათის შემდეგ მან სულისხუთვა იგრძნო. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მალე კომაში აღმოჩნდა.

საავადმყოფოში შხამის საწინააღმდეგო წამალი არ აღმოაჩნდათ და მის ადგილზე მიტანას ერთი დღე და ღამე ელოდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროის განმავლობაში გველმა გაქცევა მოასწრო. მოგვიანებით ის სახლის შორიახლოს მკვდარი იპოვეს.

გოგონა რეპტილიისგან გველის ღვინის დამზადებას აპირებდა – სასმელის, რომელიც ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში გამოიყენება, მათ შორის ტონუსის ასამაღლებლად. მის მოსამზადებლად შხამიან გველს მთლიანად ათავსებენ ბრინჯის ღვინოში ან ხორბლის სპირტში. ეტანოლი გველის შხამს ანეიტრალებს და ის ადამიანისთვის სახიფათო აღარ ხდება.

პატარძალს ქორწილში ცეცხლი წაეკიდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებს საკუთარ ქორწილში ბენგალური ცეცხლისგან ცეცხლი წაეკიდა.

რეიჩელ ბოფოი ქორწილში მეუღლე პოლთან ერთად დევონის საგრაფოს სანანპიროზე მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში მხიარულობდა, როდესაც დამწვრის სუნი იგრძნო. 33 წლის ქალმა ფეხებთან სიმხურვალე იგრძნო და აღმოაჩინა, რომ მისი საქორწინო კაბის ბოლოს ცეცხლი ჰქონდა მოდებული.

– მე მაშინვე ყვირილი ავტეხე და პანიკაში ჩავვარდი. კაბა ცეცხლი ეკიდა, მე ხელში პატარა გოგონა მეჭირა და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, ვფიქრობდი, რომ უფეხოდ დავრჩებოდი, – განაცხადა ბოფოიმ.

მეგობარმა მას ცეცხლის ლუდით ჩაქრობა შესთავაზა, თუმცა პატარძალმა თავადვე შეძლო ცეცხლი ჩაქრობა. ცეცხლი ჩაქრა, ხოლო კაბა ფაქტობრივად განადგურდა.

– ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ფეხებზე ისევ ცეცხლი მეკიდა, ხოლო დედა ისე განერვიულდა, რომ ნომერში ავიდა. საოცარია, მაგრამ ფეხებზე სულ მცირე დამწვრობაც კი არ მიმიღია, – აღნიშნა პატარძალმა.

ბოფოი ფიქრობს, რომ კაბის აალება ბენგალურმა ცეცხლმა გამოიწვია, ვინაიდან ინციდენტამდე ახლადდაქორწინებულები საგანგებოდ გავიდნენ ქუჩაში სწორედ ბენგალური ცეცხლის დასანთებად.

აღსანიშნავია, რომ წყვილი ქორწილს 2015 წლიდან, მეორე ბავშვის დაბადების შემდეგ გეგმავდა.

ბრიტანელმა ცხვირის დაცემინებით თვალის ბუდე დაიზიანა



ლონდონელმა ქალბატონმა თავის ქალის ძვლები ცხვირის დაცემინების შედეგად მოიტეხა, წერს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა.

36 წლის დამლაგებელი გაცივდა და გაჭედილი ცხვირის გასასუფთავებლად ძალიან დიდ ძალისხმევას მიმართა. მას შემდეგ, რაც მას მარცხენა თვალის არეში ტკივილები დაეწყო, დაუსივდა და ვეღარ ხედავდა, მან დახმარებისთვის ექიმებს მიმართა. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ მას თვალის ბუდის ძვალი ჰქონდა მოტეხილი. ამგვარი ტრავმა ჩვეულებრივ სახის ძლიერად დარტყმის შემდეგ გვხვდება.

ექიმების ვარაუდით, ერთ-ერთი მიზეზი მოწევა იყო, რამაც მისი ცხვირის ნესტოებში წნევა შეცვალა. აღსანიშნავია, რომ მკურნალობისა და საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ქალმა სიგარეტის მოწევას თავი დაანება. მანამდე კი ის დღეში 20 ღერ სიგარეტს ეწეოდა.

შპს „ველკოს“ ს.კ. 415081413
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიმდინარეობს შპს „ველკოს“ ს.კ. 415081413 რეორგანიზაცია, კონკრეტულად გამოყოფის პროცესი. საზოგადოებიდან გადის მისი პარტნიორი კონსტანტინე მოდებაძე, პირ.№ 42001003303. საზოგადოების კრედიტორებს ვთხოვთ, დასაბუთებული მოთხოვნებით გამოცხადდეთ საზოგადოების ოფისში.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 43 1. ტელ: 214-77-88.

ასტროპროგნოზი

17 ივლისისთვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაისვენეთ და ენერგია აღიდგინეთ. **კურო** – პლანეტა ვენერა გმფარველობთ. ახალი გატაცება გაგახალისებთ. მოსალოდნელია სასიამოვნო შეხვედრა. **ტუუპები** – სამსახურში თავი შეიკავეთ მკვახე გამონათქვამებისაგან. მეტი დელიკატურობა გმართებთ. **კირჩხიბი** – ინტუიცია გიმახვილდებათ. მოვლენებს ორიგინალურად აღიქვამთ. იყავით დამთმობი. **ლომი** – პარტნიორული ურთიერთობები არასასურველი კუთხით ვითარდება. ნუ დაწვრილმანდებით. **ქალწული** – ვარსკვლავები აქტიურობისაკენ მოგიწოდებენ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელ პირებთან. **ღრიანცალი** – ეცადეთ, საკუთარი თვალსაზრისი დაიცვათ, ამავე დროს, ნუ უგულებელყოფთ სხვების ინტერესებს. **მშვილდოსანი** – კომერციული საქმიანობა უნაყოფო იქნება. მშვიდად იმუშავეთ და კონფლიქტს ერიდეთ. **თხის რქა** – დაკისრებული მოვალეობები მეტი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. არაპროფესიონალიზმი და დაუდევრობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – თქვენთვის ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. მეტი თავმდაბლობა გმართებთ. **თევზები** – საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. შემთხვევით ადამიანებს ნუ ენდობით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ქართველი სუმოისტი; 2. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 3. მანძილი სტარტსა და ფინიშს შორის; 4. საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ექიმის თანაშემწე; 5. დამკაბადონებელი სტამბაში; 10. მინერალური წყალი სამეგრელოში; 11. მხატვრულ ფილმ „უძინართა მზე“-ს კინორეჟისორი; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 13. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 16. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 17. უბანი თბილისში; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. თანავარსკვლავედის, ვარსკვლავთა კრებულის ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 6. რომელიმე ენის ფორმების შემსწავლელი გრამატიკული ნაწილი; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. პოემა „სტუმარ-მასპინძლი“-ს პერსონაჟი; 9. ქართველი შტანგისტი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 28. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 24. ქართული კინოკომედია; 25. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 26. სადაზღვევო მოწმობა.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. თალგამი; 3. ვენახი; 8. პრიორი; 10. აბრაზია; 11. ისანი; 12. მიმისტი; 14. აჩკაწა; 15. კაიმანი; 16. ნატრი; 19. მალაგა; 20. კოპასი; 21. ინტინა.

შვეულად: 1. თვალსაჩინო; 2. მდაბიო; 3.ვაგზალი; 4. ხორხი; 5. თრიფსინი; 6. რომბი; 7. კიმბალი; 9. ბანდაი; 13. მაზლი; 17. ტანი; 18. მეი.

სკანვორდის პასუხები:

1. სტანიცა; 2. ტიბეტი; 3. იზა; 4. აცე; 5. რეგრესია; 6. კარატე; 7. მეტანია; 8. ეტაჟერი; 9. ჟაკანი; 10. ივრითი; 11. ანდამატი; 12. კარაქი; 13 კატონა; 14. ნიკ; 15. ილი; 16. რუ; 17. ბანდა; 18. ნიკე; 19. ადამ; 20. რაე; 21. ესტამპი; 22. პა; 23. პითაგორა; 24. ას; 25. სევილია; 26. მინარეთი; 27. ტბა; 28. ეტრატი; 29. ლირა; 30. ილიამნა; 31. კლიო; 32. აია; 33. ევა; 34. ომარ; 35. ელერონი; 36. ავი.

სურათებზე: ბეტი დევისი; დავიდ ვილია.

სუხიშვილები „არტ გენზე“ სპეციალური პროგრამით წარდგნენ

ანსამბლი „სუხიშვილები“ ფესტივალ „არტ გენზე“ სპეციალური საკონცერტო პროგრამით წარდგნენ.

ანსამბლის ქორეოგრაფის, ილიკო სუხიშვილის გადაწყვეტილებით, მოცეკვავეებმა, მის მიერ ბოლო პერიოდში დადგმული ის ცეკვები შეასრულეს, რომლებმაც მაყურებელში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამის მიუხედავად, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ შეკრებილი მაყურებლისგან „სუხიშვილებმა“ მთელი კონცერტის განმავლობაში მხოლოდ ბრავო და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

სუხიშვილები „არტ გენის“ ყოველწლიური საფესტივალო პროგრამის უცვლელი მონაწილეები არიან. ფესტივალის არსებობის მანძილზე მოცეკვავეები ღია ცის ქვეშ შეკრებილ მაყურებელს ყოველთვის განსხვავებულ პროგრამას სთავაზობენ.

ლაშა ჩხარტიშვილი მსახიობებს აკრიტიკებს

მსახიობის პროფესია ერთ-ერთი ურთულესია. თითოეულ როლზე მუშაობა ტიტანურ შრომას მოითხოვს.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი რეგიონებში არსებულ პროფესიულ თეატრებში მყოფ არაპროფესიონალ მსახიობებს აკრიტიკებს:

– ბევრი თეატრი, განსაკუთრებით რეგიონებში, პროფესიული რომ ჰქვია, სავსეა არაპროფესიონალი მსახიობებით. უდიპლომოს არ ვგულისხმობ, თუმცა ასეთებიც ბევრია, რაც ეწინააღმდეგება კანონს „პროფესიული თეატრების შესახებ“. პროფესიის არ მქონე არტისტებით, მაგალითად, სპექტაკლებში ვხვდებით მსახიობებს გამოუსწორებელი მეტყველების დეფექტით, მომაკვდინებელი, რაღაც უცნაური ლას-ით, ყალბი პათეტიკურობით, გარდასახვის უუნარობით, ფსევდო თეატრალურობით და არასწორი ინტონაციებით.

ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადები“ წელს იუბილეს აღნიშნავს

ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს მეათედ გაიმართება.

ლიანა ისაკაძის საიუბილეო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ 26 ივლისიდან 4 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება და კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ტრადიციულად მრავალფეროვან პროგრამას შესთავაზებს. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ვირტუოზები და ისინი მსოფლიო კლასიკის შედევრებს შეასრულებენ.

„ღამის სერენადები“ ბათუმში საზეიმოდ გაიხსნება და თბილისში დაიხურება.

ნინა ცაგარელი, ფესტივალის დირექტორი:

– წელს ისევ შენარჩუნდება ქალბატონი ლიანა ისაკაძის ფესტივალის უნიკალური ფორმატი და სულისკვეთება, თუმცა იქნება ბევრი სიახლე იუბილესთან დაკავშირებით, ამიტომ აუცილებელია დავგეგმოთ სასიამოვნო საღამოები კლასიკური მუსიკის თანხლებით. პროგრამა იქნება ძალიან მრავალფეროვანი, გვეყოლება სოლისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან, უნგრეთიდან. ფესტივალის საპატიო დირიჟორი იქნება ვახტანგ მაჭავარიანი, სოლისტი კი ალექსანდრე კორსანტია.

მაკა ნასრაშვილი, თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე:

– თბილისის მერია არაერთი წელია, მხარს უჭერს გამორჩეულ ფესტივალს „ღამის სერენადები“, რომელმაც კულტურულ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი დაიკავა. ცნობილ და გამოჩენილ შემსრულებლებთან ერთად წარადგენს ახალგაზრდებსაც. მადლობა ბატონებს ვახტანგ მაჭავარიანს, ალექსანდრე კორსანტიას და ფესტივალის სულის ჩამდგმელს, ქალბატონ ლიანა ისაკაძეს.

ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:

– ბედნიერებაა გენიალური ადამიანის, ლიანა ისაკაძის ფესტივალში მონაწილეობა. ეს არ არის ჩემთვის პირველი. ლიანა ქართულ მუსიკალურ კულტურაში არის მოვლენა და შემიძლია ვთქვა, რომ ის არის ჩემი მუსიკალური თილისმა, ჩემი პირველი კონცერტი საქართველოში, რუსეთსა თუ მოსკოვში მას უკავშირდება, ისევე, როგორც ჩემი პირველი ჩანაწერი ფირფიტაზე. მრავალწლიანი ახლობლობა და მეგობრობა გვაკავშირებს. ძალიან საპასუხისმგებლო და სასიამოვნოა ჩემი მონაწილეობა გარკვეულ ფორმატში. ყველა კონცერტს ვუდირიჟორებ, ეს სიხარულია და ყოველთვის ვდგავარ ლიანა ისაკაძის გვერდით.

ალექსანდრე კორსანტია, პიანისტი:

– მინდა ვთქვა ჩემი აზრი ლიანა ისაკაძის ფესტივალის მნიშვნელობაზე. ცოტანი არიან ასეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ პატარა კულტურაში უზარმაზარ ენერგეტიკას ტოვებენ, მაგრამ მსოფლიო კულტურაშიც ქმნიან თავიანთ ადგილს. ლიანა სწორედ ასეთი დიდი არტისტია. მე დავუკრავ პრემიერას საქართველოში, გალინა უსტვოლსკაიას საფორტეპიანო კონცერტს.

დავით მაღრაძის წიგნის პრეზენტაცია ბროდვეიზე გაიმართება



პოეტ დავით მაღრაძის შემოქმედებას იტალიაში საკმაოდ კარგად იცნობენ. ამის დასტურია ქართველი პოეტისთვის მინიჭებული რამდენიმე პრესტიჟული პრემია და ჯილდო.

პოეტის წიგნი „ნაფეხურები წყალზე“ ამაზონზე გაყიდვაში უკვე გამოჩნდა. ამ წიგნის პრეზენტაცია ნიუ-იორკში, ბროდვეიზე, წიგნის მაღაზიის ისტორიულ შენობაში გაიმართება.

როგორც პოეტმა ჟურნალისტებს განუცხადა, მასა და უმსხვილეს ამერიკულ გამომცემლობას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც გამომცემლობა წიგნის პოპულარიზაციას უზრუნველყოფს:

– შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო ამბავია, რომ ასეთი მსხვილი ამერიკული გამომცემლობა ქართველი პოეტით დაინტერესდა. წიგნს ჰქვია „ნაფეხურები წყალზე“ და მასში დაბეჭდილია ორი პოემა „ჯაკომო პონტი“ და „შენთვის“. კრებულში შესულია სხვადასხვა ლექსები. ნიუიორკში გამართულ პრეზენტაციას დაინტერესებული პირები, პოეზიის მოყვარულები, ლიტერატორები, კრიტიკოსები და ჟურნალისტები დაესწრებიან.

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძედან“ გრიგოლ რასპუტინის მკვლელობა ამოიღეს

მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი რომანიდან „კვაჭი კვაჭანტირაძე“ გამომცემლობა „ბაკმიმ“ გრიგოლ რასპუტინის მკვლელობის თავი ამოიღო.

კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკოლოზ რურუა ამ გადაწყვეტილებას ავტორის შეურაცხყოფად მიიჩნევს და გამომცემლობისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს:

– მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ შეიცავს ერთ მთლიან თავს, სადაც ხდება გრიგოლ რასპუტინის მკვლელობა, რომელშიც შეთქმულებთან ერთად მონაწილეობს რომანის მთავარი გმირიც, კვაჭანტირაძეც. ეს თავი რომანის ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია.

ამ ნაწარმოების ერთ-ერთ ახალ გამოცემაში, რომელიც ეკუთვნის გამომცემლობა „ბაკმი“-ს, ეს მთლიანი თავი ამოღებულია. აი ასე, უცერემონიოდ ამოღებული. ამ უცნაური და ახირებული ცენზურის მიზეზი ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ავტორს გამომცემელი ძალიან უპატივცემულოდ ექცევა, რომ არაფერი ვთქვათ ავტორის ლიტერატურული ამოცანის დასახიჩრებაზე, რაც რომანის მთავარი გმირის სახასიათო პორტრეტის შექმნისთვისაა აუცილებელი: რასპუტინთან ურთიერთობის ხაზი ერთ-ერთი საკვანძოა კვაჭანტირაძის წახნაგოვანი პერსონის დახასიათებისთვის.

ცხადზე ცხადია, რომ ამგვარი უმსგავსობა „მორალური პოლიციის“ დაწესების ერთ-ერთი მაგალითიცაა, რაც ამ ბოლო წლებში უფრო და უფრო მახინჯი ფორმებით იმკვიდრებს თავს გამოხატვის თავისუფლების ხარჯზე. ასეთი პატერნალიზმი, საგამომცემლო იქნება ის თუ ნებისმიერი სხვა სახის, ამახინჯებს საზოგადოებას და სერიოზულად აზიანებს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს ასევე არღვევს საქართველოს კანონს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. (მუხლი 17, ნაწილი 1, (დ) ქვეპუნქტი).

როგორც მინიმუმ, გამომცემლობამ ბოდიში უნდა მოიხადოს და ტირაჟის ამოღებას თუ ვეღარ მოახერხებს, ხელახლა გამოსცეს მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ იმ ფორმით, როგორითაც ის ავტორმა იგულისხმა. ეს იქნება ერთადერთი ადეკვატური ნაბიჯი გამომცემლობა „ბაკმი“-ს მხრიდან.

ნოდარ მგალობლიშვილი 87 წლის გახდა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი 87 წლის გახდა. მსახიობი, რომლისთვისაც ცხოვრებისეული პრინციპები უმთავრესია, იყო ერთადერთი, ვინც ღირსების ორდენზე უარი თქვა და მთავრობას უკან დაუბრუნა.

ნოდარ მგალობლიშვილმა მთელი ცხოვრება საყვარელ პროფესიას შესწირა, თუმცა რამდენიმე წლის წინ მაყურებლისთვის მეტად უსიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო და თეატრიდან წავიდა. მისი თქმით, ადამიანმა მოვლენებს ყოველთვის უნდა დაასწრო, ამიტომაც მსახიობმა თეატრი დატოვა.

– ვერაფრით ვერ დავდგამდი „ჯაყოს ხიზნებს“, რომ არ ყოფილიყო ნოდარ მგალობლიშვილი, – ამბობს რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

თავად მსახიობს კი მიაჩნია, რომ მისი ქება გადამეტებულია. მან არცთუ ისე ბევრი თეატრალური თუ კინო როლი ითამაშა, მაგრამ თითოეული მათგანი მაყურებლისთვის გამორჩეულად დასამახსოვრებელი და საყვარელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფრჩხილების მფლობელმა ფრჩხილები მოიჭრა

მამაკაცმა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფრჩხილები ჰქონდა, ისინი 66 წლის შემდეგ მოიჭრა. ამ ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნი საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

ინდოეთის ქალაქ პუნას მცხოვრები შრიდხარ ჩილალი მარცხენა ხელზე ფრჩხილებს ბავშვობიდან იზრდიდა. ოდესღაც მასწავლებელმა ის გაკიცხა იმის გამო, რომ ბავშვმა მას გრძელი ფრჩხილი მოატეხა და უთხრა, რომ ის ვერასოდეს მიხვდებოდა, თუ როგორი რთული იყო მისი სიგრძის შენარჩუნება, თუ თავად არ შეეცდებოდა მათ გაზრდას.

როდესაც 82 წლის ინდოელის ფრჩხილები უკანასკნელად გაზომეს, მათმა საერთო სიგრძემ ცხრა მეტრი და ცხრა სანტიმეტრი შეადგინა. ჩილალს ყველაზე მოკლე ფრჩხილი საჩვენებელ თითზე ჰქონდა (1,64 მეტრი), ხოლო ყველაზე გრძელი – ცერა თითზე (1,97 მეტრი). ის გინესის რეკორდების წიგნში 2015 წელს მოხვდა.

ჩილალმა აღიარა, რომ მისი ფრჩხილები ძალიან თხელი და მტვრევადი იყო და იმისთვის, რომ მოულოდნელად ძილში არ მომტვრეოდა, ის ყოველ ნახევარ საათში იღვიძებდა და ხელს ინაცვლებდა. მშობლები მის ასეთ გატაცებას არ მიესალმებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ის ამის გამო სამსახურს ვერ იშოვიდა, მაგრამ მამაკაცი ფოტოგრაფად მოეწყო და კამერასთან მუშაობის დროს ფრჩხილებისთვის სპეციალური დამჭერი მოიგონა.

მამაკაცს ფრჩხილების მოჭრა მუდმივმა ტკივილებმა გადააწყვეტინა: მათი წონა და სიგრძე მას ხელისგულის გაშლის საშუალებას არ აძლევდა. მისი მტკიცებით, გულის ყოველ ცემაზე მისი ხუთივე თითი, ხელის მტევანი, იდაყვი და მხარი ტკივილს აყენებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კლინიკურ ლაბორატორიული დიაგნოსტიკური დეპარტამენტის ექიმ ლაბორანტ ანა ლაღიძეს მამის, ექიმ დერმატოვენეროლოგ

დიმიტრი ლაღიძის

გარდაცვალების გამო.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს კომპანიის დამფუძნებელსა და კლინიკის დირექტორს ნატალია ხონელიძეს მამის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის

ლერი ხონელიძის

გარდაცვალების გამო.

შპს „ელ.ინდასტრი ჯორჯიას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ოთარ მაისურაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ალექსანდრე მაისურაძის, დავით ჭკუასელისა და განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ, მანანა, ეკატერინე და ვახტანგ (უმცროსი) წივწივაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, ქართულ მწერლობასა და კრიტიკაში ახალი ეპოქის შემქმნელი, წლების მანძილზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი

თამაზ წივწივაძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ივლისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 2.4478

ევრო
— 2.8458

ინგლისური გირვანქა
სტერლინგი
— 3.2115

100 რუსული
რუბლი
— 3.9292

ამინდის პროგნოზი 17 ივლისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

კრიშტიანო რონალდუმ იუვენტუსში სამედიცინო შემოწმება გაიარა

იუვენტუსის ახალწვეულმა კრიშტიანო რონალდომ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და ჟურნალისტების რამდენიმე კითხვასაც გასცა პასუხი.

რონალდოს თქმით, ის იუვენტუსში მხოლოდ ტიტულების მოსაგებად მივიდა და ის ყველა ტურნირში აპირებს გამარჯვებას.

რონალდომ აღიარა, რომ მისთვის არ იყო იოლი რეალის დატოვება, მაგრამ მას ახალი გამოწვევები სურს და იუვენტუსში მისთვის ახალი ეტაპი იწყება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჰონკონგელმა ცათამბჯენის სახურავის კიდეზე გასეირნება ვიდეოზე გადაიღო



ჰონკონგელმა 55-სართულიანი ცათამბჯენის სახურავის კიდეზე ყოველგვარი დამზღვევი მოწყობილობების გარეშე გაისეირნა და ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო.

ექსტრემალმა ჩხენ ჩაიმ ვიდეორგოლი ექშნ-კამერის დახმარებით გადაიღო, რომელიც მას თავზე ჰქონდა დამაგრებული. 27 წლის ჰონკონგელმა ცათამბჯენის სახურავზე მალულად ჯერ კიდევ მაშინ ააღწია, როდესაც ოთხი წლის იყო, ბოლო დროს კი ის ამით ყოველდღეა დაკავებული.

ჩხენი სახიფათო გასეირნების დროს არ იყენებს დამზღვევ საშუალებებს. მან აღიარა, რომ ამ ვიდეორგოლის გადაღების წინ ძალიან ნერვიულობდა. თუმცა მას აშინებდა არა შენობის სიმაღლე, ან სახურავის ვიწრო კიდე, არამედ ის, რომ იქ პოლიციის განყოფილება იყო განთავსებული თავისი 200 თანამშრომლით.

დათვი მანქანაში მოკალათდა და პირი ბუტერბროდით ჩაიტკბარუნა

ამერიკის ჯორჯიის შტატში შავი დათვი ავტომობილში შეძვრა და ბუტერბროდი შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მედდა კერი უოტსი ავადმყოფთან საკუთარი მანქანით მივიდა. ქალს ფანჯრის დაკეტვა დაავიწყდა და სავარძელზე თავისი სადილი – სენდვიჩი, კარტოფილის ჩიფსები და ორცხობილა დატოვა.

საჭმლის სუნმა შავი დათვის ყურადღება მიიპყრო. ცხოველი ავტომობილში ფანჯრიდან გადაძვრა და ყველაფერი შეჭამა. ამის შემდეგ, მან ბავშვის სავარძელი მოგლიჯა და ქაღალდის ფურცლები დაანაკუწა, რომლებსაც მანქანის სალონში მიაგნო.

ამ ყველაფრის დანახვის შემდეგ უოტსი ტაფების და ქვაბების რახუნით ცდილობდა დათვის გაგდებას, მაგრამ ის ამ ხმაურს არაფრად აგდებდა. მაშინ ქალმა ავტომობილის სიგნალიზაცია ჩართო, მაგრამ მტაცებელი ვერც ამან შეაშინა. გარკვეული დროის შემდეგ მან თავად დატოვა მანქანა და წავიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ამ ბოლო დროს იმდენად ცუდად ვერკვევი თანამედროვე მუსიკაში, რომ ყველა პოპულარული რეპერისა და დიჯეების შესახებ მათი ნეკროლოგებიდან ვიგებ.

●●●

გიგი მასწავლებელს ეუბნება:

– მასწავლებელო, რატომ დამიწერეთ ცუდი ნიშანი? მე ხომ ყველა კითხვას სწორად ვუპასუხე, აი, ნახეთ:

– კითხვა: რა მოხდება, თუ ქვას წყალში ჩავაგდებთ? პასუხი: დასველდება.

– კითხვა: როგორ შეიძლება, რვა დღე უძილოდ გავძლოთ? პასუხი: რა პრობლემაა. ღამით დავიძინოთ.

– კითხვა: ცალ ხელში 3 ვაშლი და 4 ფორთოხალი გაქვს, მეორეში – 4 ვაშლი და 3 ფორთოხალი. რა გამოდის? პასუხი: ძალიან დიდი ხელები.

– კითხვა: 8 კაცმა კედელი 10 საათში ააშენა. რა დრო დასჭირდება 4 კაცს მის ასაშენებლად? პასუხი: არც ერთი წამი, კედელი უკვე აშენებულია.

– კითხვა: როგორ დავაგდოთ კვერცხი ბეტონის იატაკზე ისე, რომ არ გავტეხოთ? პასუხი: როგორც არ უნდა ეცადო, ბეტონის იატაკს კვერცხით ვერ დაამტვრევ.

●●●

პატარა გიგის თანაკლასელმა უთხრა, რომ ყველა მოზრდილს აქვს რაღაც ისეთი საიდუმლო, რომლითაც მისი დაშანტაჟება შეიძლება. სკოლიდან სახლში დაბრუნებული გიგი დედას ეუბნება:

– მე კი ყველაფერი ვიცი!!!

გაფითრებულმა დედამ შვილს ჯიბეში ოცლარიანი ჩაუდო და ეუბნება:

– მამას არ უთხრა!

გიგის მოეწონა და, როდესაც მამა სახლში დაბრუნდა, კართან შეეგება და ეუბნება:

– მე ყველაფერი ვიცი!!!

მამამ ნერვულად შეათვალიერა, მერე ორმოცდაათლარიანი გაუწოდა და ეუბნება:

– იცოდე, დედას არ უთხრა!

მეორე დილით გიგი ფოსტალიონს შეხვდა და ეუბნება:

– მე ყველაფერი ვიცი!!!

ფოსტალიონს ჩანთა ხელიდან გაუვარდა, ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა, ხელები ფართოდ გაშალა და ეუბნება:

– მოდი, შენს მამას ჩაეხუტე, შვილო!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ხორხე სამპაოლი არგენტინის ნაკრებიდან გაუშვეს

ხორხე სამპაოლი არგენტინის ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. ეს ინფორმაცია არგენტინის საფეხბურთო ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა. სამპაოლი კონტრაქტის გაწყვეტის გამო კომპენსაციის სახით 2 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო თუ ვინ იქნება არგენტინის ნაკრების ახალი მწვრთნელი, ჯერჯერობით უცნობია.

სამპაოლი არგენტინის ნაკრებს ორი წლის მანძილზე წვრთნიდა და მისი ხელმძღვანელობით არგენტინამ წარმატებას ვერ მიაღწია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამპაოლის არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა არგენტინის ნაკრების ლიდერებთან სერხიო აგუეროსთან და ლიონელ მესისთან.

ჩელსი აზარში 225 მილიონს ითხოვს

ლონდონის ჩელსი თავისი ლიდერის ედენ აზარის გაყიდვას არ აპირებს და მის მყიდველს 225 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აზარის ყიდვა სხვადასხვა კლუბებს სურთ, მათ შორის რეალს და ბარსელონას, მაგრამ ჩელსი თავისი მთავარი ვარსკვლავის დათმობას არ აპირებს, თუმცა 2 წელიწადში აზარს კონტრაქტი უმთავრდება, ამიტომ ის, სავარაუდოდ, მაინც წავა ჩელსიდან.

გარდა ამისა, აზარმა ინტერვიუებში რამდენჯერმე აღნიშნა, რომ სხვა გუნდში სურს ძალების გამოცდა.

დეიან ლოვრენი: „საფრანგეთს თამაშით ვაჯობეთ“

ხორვატიის ნაკრების მცველმა დეიან ლოვრენმა საფრანგეთთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ხორვატიამ საფრანგეთს აჯობა, უბრალოდ ფრანგებმა თავიანთი შანსები უკეთესად გამოიყენეს.

ლოვრენის აზრით, ხორვატებს იღბალმა ზურგი აქცია:

– საფრანგეთი უბრალოდ თავის შანსებს ელოდებოდა და მათ უბრალოდ ჩვენი შეცდომებით ისარგებლეს. პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ და დასანანი გოლები გავუშვით. ვფიქრობ, ფრანგებზე უკეთ ვითამაშეთ, უბრალოდ არ გაგვიმართლა.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა ხორვატია 4:2 დაამარცხა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 3. უძველესი ისტორიული ქალაქი სირიაში; 4. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 5. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 6. მზის სისტემის პლანეტა; 8. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 10. შაქრით შეზავებული, არომატიზირებული მოდუღებული წითელი ღვინო; 11. მუზეუმი ბერლინში; 14. აეროპორტი ლონდონში; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 16. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. იაპონიის ჰიმნი; 7. მარადმწვანე ტროპიკული, ხვიარა, მცოცავი მცენარე; 9. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 12. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 17. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 18. თანდაყოლილი ჭკუასისტობა; 19. ქერის პური; 20. მექსიკური არაყი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა